სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 2 სექტემბერი 2006 №202 (2824) ფასი 50 თეთრი

ქართველებს ბურთის რევოლუციაც გვინდა



შანსი:

წმინდა საფეხბურთო კონტექსტი

ფრანგები ნამეტანი ბურჟუებივით იქცევიან

2 სექტემბერს

VEGA SLOT გთავაზობთ სიურპრიზს

გაზეთის ბოლო გვერდზე ამოჭერით კუპონი

ფრთხილი ვოიაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ჯობილაძის ფოტოები

დიდი უკარება ხალხი ყოფილა ფრანგთა ნაკრებში. ქართველთა მეტოქეთაგან აქამდე ერთადერთი გერმანიის ნაკრები ჩამოვიდა თბილისში ისე, ავტობუსი ზედ ტრაპთან რომ დაახვედრეს და ყველანაირი საბაჟო კონტროლის გარეშე სასტუმრო „მეტეხისკენ“ გააქანეს. მაშინ 1995 წელი იყო, გაგანია მხედრიონის პერიოდი და გერმანელთა სიფრთხილეც გასაგები გახლდათ. თუმცა მაშინდელ სტუმრებთან სასტუმროში გასაუბრების უფლება მაინც გვქონდა. ახლა კი...

...რამ დააშინა თუ დააფეთა ეს ფრანგები, ვერ გეტყვით. თურქული ტურისტული სააგენტო „მაჰმადოღლუს“ ყვითელ ავტობუსი ფრანგების ასევე ყვითელ თვითმფრინავს მთლად ასაფრენ ბილიკზე არა, მაგრამ სადღაც იქ დახვდა, სადაც თვალისთვის კი არა, ვიდეო-კამერებისთვისაც კი მიუწვდომელი ადგილი იყო. საფრანგეთის ნაკრები თვითმფრინავიდან პირდაპირ ავტობუსში ჩაჯდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, აეროპორტის ცენტრალურ გასასვლელსაც მოერიდა და ალექსეევკის მხრიდან დატოვა იქაურობა. ასე დარჩა პირღია ის ასობით ქომაგი, რომელმაც, ავტოგრაფსა და სამახსოვრო ფოტოს ვინ ჩივის, ფრანგ ვარსკვლავთათვის თვალის შევლებაც ვერ შეძლო. ეს აეროპორტში, თორემ ვიდრე ფრანგები „მეტეხში“ დაბინავდებოდნენ, სასტუმროს მესერის გაღმიდან, იცოცხლეთ, ავტობუსიდან ჩამოსულ ფეხბურთელებს ისეთი ოვაცია დახვდათ. ჟურნალისტებს კი იქაც, სასტუმროშიც, ყველა კარი დაკეტილი დაგვხვდა.

თბილისში ჩამოსულებს კაცი არ მოგვაკაროთო, უთხოვიათ ფრანგებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის და ამათაც სტუმართა სურვილი ბოლომდე დააკმაყოფილეს. რა გაეწყობა, ფრანგთა ნაკრები მოედნიდან ხშირად სასიამოვნოდ თუ გვაკვირვებს, ამჯერად „მამლებმა“ ნამდვილად უსიამოვნოდ გაგვაოცეს. მერე რა, ფრანგები და ვარსკვლავები რომ არიან...

...კიდევ კარგი, საფრანგეთის ნაკრებმა „ეროვნულზე“ პრესკონფერენცია მაინც გამართა, თორემ მთლად უამბოდ დავრჩებოდით. მართალია, პრესკონფერენციაზე რაიმონ დომენეკსა და მიუნხენის „ბაიერნის“ მცველ ვილი სანიოლს დიდად საინტერესო არაფერი უთქვამთ, თანაც სიტყვაძუნწები იყვნენ, მაგრამ სტუმრების ხმა რომ გავიგეთ, ესეც საქმედ ჩავუთვალოთ.

მაშ ასე, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა „ეროვნულის“ საკონფერენციო დარბაზში თქვა:

— ახლა მხოლოდ საქართველოს ნაკრებზე ვფიქრობ. ხელწამოსაკრავი მეტოქე არ გვყავს. ქართველებმა წინა მატჩში ფარერებს სტუმრად საკმაოდ დამაჯერებლად, 6:0 მოუგეს.

— ვფიქრობ, საფრანგეთის ნაკრებს შესარჩევ ეტაპზე კარგი კალენდარი აქვს. არა, ნუ იფიქრებთ, რომ საქართველოსთან მატჩს 6 სექტემბერს იტალიასთან თამაშისთვის მოსამზადებლად გამოვყე-

თამამი ზრახვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებთ, ეს, ელემენტარულად, საქართველოს ნაკრების უპატივცემულობა იქნება.

— საფრანგეთის ნაკრებში საგანგაშო და განსაკუთრებული არაფერი ხდება. საქართველოსთან ითამაშებს თერთმეტი ფრანგი ფეხბურთელი, რომელთა შორის კლოდ მაკელელეც იქნება.

— ისევე, როგორც ყველა გუნდი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის საფრანგეთიც ჩვეულებრივ მოემზადა, ჩვენს გუნდს მოტივაცია არ აკლია.

— საქართველოში ეგებ ყველა ფრანგ ფეხბურთელს იცნობენ, აქ ჩვენმა ჩამოსვლამ იქნებ დიდი აჟიოტაჟიც გამოიწვია, მაგრამ ეს ფეხბურთელებზე, მგონი, არ იმოქმედებს. ყურადღება სხვას არავის და არაფერს უნდა მივაქციოთ და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ.

— ვიცი, რომ ქართველები მონდომებით ემზადებიან. ჩვენც მონდომებით ვითამაშებთ.

— საფრანგეთის ნაკრები ყოველთვის ცდილობს, მეტოქეზე ერთი გოლით მეტი გაიტანოს.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთს დაცვითი ფეხბურთი არ უთამაშია, ხშირად ორი, სამი და ოთხი ფეხბურთელიც კი იყო თავდასხმაში...

რაიმონ დომენეკის პასუხები ალაგ-ალაგ ირონიულიც იყო. კითხვებს საქართველოს ნაკრებზე კი საერთოდ არ პასუხობდა, ამ კითხვას უკვე ვუპასუხეო. პასუხში იმას გულისხმობდა, რომ საქართველომ ფარერებს 6:0 მოუგო.

ვილი სანიოლი: მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შესარჩევი ეტაპისთვის მოსამზადებლად ბევრი დრო არ გვქონდა, თუმცა ვეცდებით, რომ ჩვენი საქმე კარგად გავაკეთოთ.

— ბოსნიასთან ამხანაგური მატჩის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჩვენი გუნდის შესაძლებლობებში.

— საქართველოს ნაკრებზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ქართველები ცნობილ კლუბებში თამაშობენ და ხვალ მძიმე მატჩი გველის.

— ჩვენთვის მთავარი მატჩი კი ოთხშაბათსაა. სწორედ იტალიასთან უნდა გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობები ბოლომდე. თბილისში, რა თქმა უნდა, სამი ქულისთვის ჩამოვედით.

— ვიცი, რომ კობიაშვილი და იაშვილი გერმანიაში თამაშობენ, ისინი კარგი ფეხბურთელები არიან.

— მართალია, საფრანგეთის ნაკრებს ზიდანი დააკლდა, მაგრამ გუნდის ბირთვი ისევ ძველია. ასე რომ, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ გვაქვს.

— კლოდ მაკელელე საფრანგეთის ნაკრებშია და მისი დიდი იმედიც გვაქვს.

— იტალია მსოფლიოს ჩემპიონია, რაც იმას ნიშნავს, რომ შესარჩევი ჯგუფის ფავორიტიც სადღეისოდ სწორედ ისაა.

— თბილისური კლიმატი ჩვენზე არ იმოქმედებს, აქ ისეთივე ჰავაა, როგორიც ჩვენთან...

პრესკონფერენციის შემდეგ დომენეკმა და სანიოლმა მოედანზე გადაინაცვლეს და სავარჯიშოდ გამზადებულ გუნდს შეუერთდნენ. ჯერ მოთელვა იყო, მერე ფეხბურთელებმა სპრინტი ირბინეს, ხელშძღვანელობამ კი შემოგვითვალა, ვიდრე ტრიბუნას არ დატოვებთ, ბურთით ვარჯიშს არ დავიწყებთო...

ფრანგები იმალებიან და მოგებაში დარწმუნებულნი არიან.

არ იქნება ურიგო მათი ჭკუაზე მოყვანა...

ძოგა ინასარიძე



ბაფრი ჯეიმლაძის ფოტოები

SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ტოპმიოლერი ოპტიმალურად ოპტიმისტია

„შემტევ ფეხბურთს ვგეგმავ. ეს, ცხადია, საფრანგეთის ნაკრების თამაშზეც იქნება დამოკიდებული, მაგრამ ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ შევუტიოთ“ — თქვა კლაუს ტოპმიოლერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე. ტოპის თარჯიმნობას მისივე თანაშემწე ბესიკ ფრიდონაშვილი უწევდა. ერი და ბერი ქართულ-ფრანგული ჯახის მოლოდინშია — ტოპმიოლერი ოპტიმისტურადაა განწყობილი და, მგონი, ეს ჩვენც გადმოგვედო, რაღაც სხვანაირად ველით დღევანდელ თამაშს...

— **რას გრძნობთ ფრანგებთან მატჩის წინ?**

— მოუთმენლად ველი თამაშს. ჩვენი მეტოქე მსოფლიო კლასის ვარსკვლავებით სავსე გუნდია.

— **ფრანგები ცხვირაწეულები ჩანან, არადა, თბილისში აქამდე ჩამოსული სხვა გრანდები ცოტა თავშეკავებას იჩენდნენ...**

— ფრანგებს სრული უფლება აქვთ, სამ ქულაზე იფიქრონ. მათ ბოლო 30 მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგეს და ისიც ამხანაგური თამაში სლოვაკეთთან. ბუნებრივია, ხვალ ფრანგებმა რომ ვერ მოიგონ, სენსაცია იქნება.

— **რა იქნება საქართველოს ნაკრების კოზირი?**

— ამის გამხელას არ ვაპირებ. ფრანგების 20-30 თამაში მაქვს ნანახი, მეც და ფეხბურთელებიც კარგად ვართ მომზადებული საამმატჩოდ. მოტივაციაც ძალიან დიდია.

— **მალხაზ ასათიანი ისევ დაცვაში ითამაშებს? და თუ ასე იქნება, გამთამაშებლად დავით მუჯირს დააყენებთ თუ გიორგი ქინქლაძეს?**

— ჩვენი უპირატესობა ისიცაა, რომ შემადგენლობას არ ვამხელთ. ასათიანი ითამაშებს, მაგრამ სად, ამას არ გეტყვით...

— **კახა კალაძე ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს. შესაძლოა, რომ 6 სექტემბერს უკრაინასთან ითამაშოს?**

— სამწუხაროდ, კალაძე უკრაინაშიც დაგვაკლდება. თუ ყველაფერი კარგად იქნება, კახა ოქტომბერში ჯერ გერმანიასთან ამხანაგურ თამაშში, შემდეგ კი იტალიასთან ოფიციალურ მატჩში ითამაშებს.

— **ყველა შესარჩევ ციკლში ჩნდებიან აღმოჩენა-ნაკრებები. რამდენად შესაძლებელია, რომ ამჯერად ასეთი ნაკრები საქართველო იყოს?**

— სრულიად შესაძლებელია. ამის შანსი შოტლანდიას და ლიტვასაც აქვთ. მაგალითად საბერძნეთს მოვიყვან, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა, არადა, მათი ფინალურ ეტაპზე გასვლაც კი სენსაცია იყო.

— **საფრანგეთთან კაპიტანი ვინ იქნება?**

— ლევან კობიაშვილი.

— **საკმაოდ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი და რა გაძლევთ ამის საფუძველს?**

— მწვრთნელი თუ ოპტიმისტი არ იქნება, ფეხბურთელები როგორ იქნებიან?! რას მთავაზობთ, მათ ვუთხრა, რომ ხვალ წავაგებთ?! მე იმედიანად ვარ და მიხარია, რომ ფეხბურთელებიც ასე არიან.

ტოპის პრესკონფერენციის პარალელურად ფრანგების ვარჯიშიც დასრულდა და საქართველოს ნაკრებისა დაიწყო, ოღონდ ჟურნალისტებს მხოლოდ 15 წუთი მოგვეცა ვარჯიშის სანახავად. მცირე მოთელვის შემდეგ კვადრატები გაჩაღდა, რომელშიც კახა კალაძეც მონაწილეობდა — ითქვა, შანსია, კალაძე უკრაინასთან მატჩისთვის მზად იყოსო...

ილია ნანოგაშვილი

ბადრი ძეთილაძის ფოტოები

მოულოდნელი საჩუქარი ჩელსიდან

ლამპარდმა ანდრეი შევჩენკო მოგვაშორა

აი, ამბავი: 6 სექტემბრის უკრაინა — საქართველოს მატჩში, არც მეტი, არც ნაკლები, ანდრეი შევჩენკო არ ითამაშებს

უკრაინელმა სუპერვარსკვლავმა „ჩელსის“ ვარჯიშზე ფრენკ ლამპარდთან შეჯახებისას ტრავმა მიიღო და არ ვარჯიშობს — შევა არც ჩასულა კიევში, სადაც ოლეგ ბლოხინის გუნდმა რამდენიმე დღის წინ დაიწყო მზადება.

შევჩენკოს გარდა, ქართველებთან ვერ ითამაშებენ „შახტარის“ მცველი ალექსანდრ კუჩერი და კიევის „დინამოს“ ახალგაზრდა ფორვარდი არტიომ მილევსკი. მთავარი კი, რა თქმა უნდა, ანდრეის არყოფნაა. ვერაფერს იტყვი, ლამპარდმა საქართველოს ნაკრები უნებლიეთ დაასაჩუქრა...

ილია ნანოგაშვილი

ნუ გავიმეორებთ ლიტვას

ორი ბურთით და ორი ვარიანტით

საქართველო — საფრანგეთი გადაივლის და 3 სექტემბერს რალფ მინგეს ახალგაზრდული ნაკრების ჯერიც დადგება. ქართველი 21-წლამდელები ევრო 2007-ის შესარჩევი ციკლის ჯგუფურ ეტაპზე სერბებს მასპინძლობენ და მხოლოდ ორბურთიანი მოგების შემთხვევაში თუ დაიტოვებენ პლეი ოფში გასვლის შანსს. „თუ“ იმიტომ, რომ ამ ჯგუფში ლიტვის ნაკრებიცაა, რომელმაც უკვე მოუგო 1:0 ქართველებს.

არადა, ხვალ ორბურთიანი მოგება როგორი საქმეა — მირონლავ ჯუკიჩის გაწვრთნილი სერბეთის ახალგაზრდული ნაკრები დიდი ძალაა, ბალკანელებს ამ ასაკში ყოველთვის ჰყავდათ კარგი ფეხბურთელები და ახლაც ასეა...

ქართველ ახალგაზრდებს ჯერჯერობით კობა ჟორჟიკაშვილი ავარჯიშებს, თამაშზე კი გუნდს რალფ მინგე გაიყვანს...

ილია ნანოგაშვილი

თქვენ ოღონდ მოიგეთ და...

ქალაქის მერი ნაკრებს განსაკუთრებულ სიურპრიზს ჰპირდება

გუშინ თბილისის მერი გიგი უგულავა საქართველოს ნაკრებს ბაზაზე ესტუმრა — მიზანი გუნდის გამხნევება და შეგულიანება იყო
და, შეიძლება ითქვას, მერს ეს გამოუვიდა კიდეც. პირველი საათი იყო, უგულავა ბაზაზე რომ მოვიდა, ჯერ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე და გენმდივანი უჩა უგულავა მოინახულა და მერე მათთან ერთად სასადილო ოთახში შევიდა, სადაც ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელები სადილობდნენ. ქალაქის თავმა სათითაოდ მოიკითხა ფეხბურთელები, მერე კი კლაუს ტოპმიოლერს მიუჯდა და დაახლოებით 15 წუთი ესაუბრა...

გიგი უგულავას არც გიორგი შაშიაშვილის სადღეგრძელო დავიწყნია — ნაკრების მცველს გუშინ დაბადების დღე ჰქონდა...

...მოკლედ, შეხვედრამ გულთბილად ჩაიარა და ბოლოს მერმა უკვე ოფიციალურად, საპრესკონფერენციო დარბაზში მიმართა გუნდს:

„დიდ დროს არ წაგართმევთ. მე აქ მოვედი არა როგორც თბილისის მერი, არამედ, როგორც ჩვეულებრივი გულშემატკივარი და ასეთი კიდევ, სულ მცირე, ხუთი მილიონია...

...ხვალ დიდი ბრძოლა გველის. მერე რა, რომ საფრანგეთი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. მსოფლიოს ისტორიასაც ახსოვს, რომ ზოგადად სუსტს ძლიერის დამარცხება შეუძლია და ეს არც ფეხბურთისთვისაა უცხო. ანუ იმის თქმა მინდა, რომ თამაში ყველასთან შეიძლება და ეს თქვენც კარგად იცით...

...აქამდე რატომღაც ხშირად მესმოდა, რომ ქართველი გულშემატკივარი ყველაზე ობიექტური გულშემატკივარია, მაგრამ ასეთი ხომ სინამდვილეში არ არსებობს. გულშემატკივარი სუბიექტური უნდა იყოს, საკუთარი გუნდის უნდა სჯეროდეს ნებისმიერ დროს — მოგებაც და წაგებაც გუნდთან ერთად უნდა გაითავისოს. ის მისი გუნდის მხარეს უნდა იყოს ნებისმიერ წუთს. ობიექტურობა კი მართლმსაჯულებას და მსაჯს მოეთხოვება...

...მე მჯერა თქვენი და დარწმუნებული ვარ, საფრანგეთთან თავს არ დაზოგავთ. მწვრთნელიც კმაყოფილია და ესეც ძალიან მესიამოვნა...

...მოგების შემთხვევაში ქალაქ თბილისის მერია განსაკუთრებულ სიურპრიზებს გპირდებათ. მინდოდა, დღესვე მეთქვა თქვენთვის ამის თაობაზე, მაგრამ ბატონმა კლაუს ტოპმიოლერმა მთხოვა, სიურპრიზი სიურპიზად დავტოვოთო და ასეც მოვიქცევი. თქვენ ოღონდ მოიგეთ და დანარჩენი ჩვენ ვიცით...

...ეროვნული სტადიონიც მზადაა და მას ახლა მხოლოდ მოგება და ღირსეული თამაში სჭირდება. ამის დიდი იმედი მაქვს. იცოდეთ, რომ პრეზიდენტი, მე და მთელი ქვეყანა თქვენთან ვართ...

...ვიცი, რომ ძალიან დატვირთული გრაფიკი გაქვთ. აქ მოსვლა და თქვენთან შეხვედრა ჩემი სურვილი იყო და მიხარია, რომ დამთანხმდით და დრო გამონახეთ. ამისთვის მადლობას გიხდით. გაიხარეთ და ქვეყანა გაახარეთ!“

ასე დაასრულა გიგი უგულავამ ფეხბურთელებთან შეხვედრა. მას ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის და ნაკრებთან სტუმრობისთვის. მერე კი უგულავამ ნაკრების ტრავმირებული კაპიტანი *კახა კალაძე* მოიკითხა, რომელიც ტრავმის მიუხედავად მილანიდან მაინც ჩამოვიდა და გუნდთან ერთად ცხოვრობს. აი, რა გვითხრა კახამ: „ძალიან მიხარია, რომ მთავრობა ასეთ ყურადღებას იჩენს ფეხბურთის და საერთოდ ქართული სპორტის მიმართ. ეს აუცილებლად გამოიღებს შედეგს. რაც შემეხება მე, გუნდთან ერთად ვარ და ხვალ მთელი გულით ვუქომაგებ ბიჭებს. სამწუხაროდ, ჩემი თამაში გამორიცხულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბიჭები უჩემოდაც შეძლებენ ღირსეულად თამაშს.“

კახა ზალამგერიძე
გადრი ძეთილაძის ფოტოები

ბათუმური ამბობენ: სტადიონი ორჯონიკიძემ იყიდაო



ბათუმში ახალი სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით ახალი არაფერიაო, გვითხრა აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ახვლედიანმა. შეგახსენებთ, რომ სტადიონისთვის ტერიტორია უკვე გამოყოფილია და მშენებლობაზეც კონკურსია გამოცხადებული.

რაც შეეხება „ბათუმის“ ამჟამინდელ სტადიონს, როგორც შევიტყვეთ — ის დღეს გაიყიდა 2 მილიონ დოლარად, მყიდველი კი მოსკოვის ვიცე-მერი სოსო ორჯონიკიძეაო.

გადამოწმებას კი ვეცადეთ, მაგრამ ახვლედიანმა გვითხრა, ამ ინფორმაციის სისწორეზე ვერაფერს გეტყვით, თბილისში გახლავართო.

ლუკა თალაძვაძე

ბორჯომში შეიძლება ასალი მარადონა გამოჩნდეს

ხუმრობა იქით და, შვიდი არგენტინელი როგორია?!

ის დროა, „ბორჯომმა“ შავი ტრუსებისა და თეთრ-ლურჯ ზოლიანი მაისურების შეკვეთა მისცეს. 3 სექტემბერს ვლადიმერ ხაჩიძის გუნდში შვიდი არგენტინელი ფეხბურთელი ჩამოვა, რომლებიც, მწვრთნელის თქმით, იქაური უმაღლესი ლიგის გუნდების წევრები არიან.

„მათი გვარები არ ვიცი, ისე კი, სატრანსფერო ფურცლები ჩამოსულია და თან გასინჯვის დროც რომ არაა, ყველას დავიტოვებთ. არც ერთი მათგანის რეალური დონე არ ვიცით, ასე რომ, ბრმად მოგვყავს გუნდში“ — გვითხრა ხაჩიძემ.

როგორც იცით, „ბორჯომში“ წინა სეზონშიც თამაშობდნენ არგენტინელები — დარიო სებალე და, განსაკუთრებით, გონსალო დე პორასი მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ.

ილია ნანოგაფვილი

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

ამოიცვით, რაც გინდათ!

ლიოვს ბალაჯი დაუბრუნდა, ირლანდიას — რობი კინი

IV ჯგუფი. I ტური

გერმანია — ირლანდია

გასული მუნდიალის მასპინძელი და მესამეადგილოსანი გერმანიის ნაკრები დღეს ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპში ერთვება. ბუნდესნაკრების მეტოქე ირლანდიაა, ხოლო მატჩი შტუტგარტის „გოტლიბდაიმლერშტადიონზე“ გაიმართება.

საკმაო ხანია, გერმანიაში ბევრი კრიტიკოსი ელის ამ მატჩს. საქმე ის არის, რომ ქომაგთა თუ სპეციალისტთა სოლიდური ნაწილი ბუნდესნაკრების მწვრთნელად იოახიმ ლიოვის დანიშვნას არ ემხრობოდა და გაფაციცებით ელოდება, როდის დაუცდება ფეხი ახალგაზრდა კაცს.

ლიოვისთვის ეს პირველი ოფიციალური და სერიოზული გამოცდაა. მის ხელში გერმანიამ მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა, 16 აგვისტოს ამხანაგურ შეხვედრაში 3:0 სძლია შვედეთს. იმავე დღეს კი ირლანდია შინაურ კედლებში ანგარიშით 0:4 განადგურდა ჰოლანდიასთან, თუმცა კუნძულელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ.

ბუნდესნაკრებს დაცვაში გაუჭირდება, რადგან კრისტოფ მეცელდერი, პერ მერტესაკერი, რობერტ ჰუთი და იენს ნოვოტნი ტრავმირებულნი არიან. ლიოვი ერთგვარი ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს და დაცვის ცენტრში არნე და მანუელ ფრიდრიხების გამწესება სურს.

იოახიმ ლიოვი: „ამაზე არ ვნერვიულობ. არნესაც და მანუელსაც თავიანთ კლუბებში დაცვის ცენტრში უთამაშიათ და მათ იციან, რაც უნდა გააკეთონ. მჯერა, ისინი ამ ამოცანას თავს გაართმევენ. მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრდა და ახლა შემართების ახალი ტალღა გვჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლია, შაბათს ირლანდიასთან და ოთხშაბათს სან მარინოსთან მოგებას ვგეგმავთ“.

ირლანდიელთა ახალ მწვრთნელ სტივ სტონტონს კი ალბათ პედი კენი და სტეფან კელი დააკლდებიან. სამაგიეროდ, დამიენ დაფმა, რიჩარდ დანმა, რობი კინმა და შეი გივენმა ტრავმები მოიშუშეს.

დაბოლოს, გერმანიის ფეხბურთის ასოციაციამ მოთამაშეებს ნებისმიერი ბუცების ჩაცმის ნება მისცა. საქმე ის არის, რომ „ადიდასთან“ 2014 წლამდე გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელები ამ ფირმის ამუნიციაში უნდა ყოფილიყვნენ გამოწყობილი, მაგრამ ეს აზრი დიდად არ მოეწონათ და პროტესტი გამოთქვეს. გერმანიის ასოციაციამაც „ადიდასთან“ ახლებური კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც აუცილებელი მხოლოდ „ადიდასის“ მაისურების ჩაცმა იქნება, ხოლო ფეხბურთელები ბუცებისა, მეკარე კი ხელთათმანების შერჩევაში თავისუფლები არიან.

გიორგი კაკაბაძე

სავარაუდო შემადგენლობა

გერმანია: ლემანი, ა. ფრიდრიხი, მ. ფრიდრიხი, ლამი, იანსენი, შნაიდერი, ბალაკი, ფრინგსი, შვაინშტაიგერი, კლოზე, პოდოლსკი

ირლანდია: გივენი, ე. ობრაიენი, ჯ. ობრაიენი, დანი, ჰარტი, ელიოტი, ს. რიდი, ოში, დაფი, რობი კინი, დოილი

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

ფავალური მოვლენა

იუვე ინტერს B-დანაც უგებს

იტალია

TIM-ის თასი

მილანი 2:1 ინტერი

0:1 კრუზი (19), 1:1 ფავალი (32), 2:1 ბორიელო (36)

ინტერი 1:1 იუვენტუსი (3:4პენ.)

0:1 დელ პიერო (6), 1:1 ფიგუ (26)

იუვენტუსი 1:3 მილანი

1:0 ზალაიეტა (5), 1:1 ზეედორფი (26), 1:2 კაკა (37პ), 1:3 ზეედორფი (47)

TIM-ის თასის მეექვსე გათამაშებაში „მილანმა“ გაიმარჯვა. **TIM** არის „ტელეკომ იტალია მობილე“, რომლის თითოტაიმიან შეჯიბრებაში სამი გუნდი მონაწილეობს: ხსენებული „მილანი“, „ინტერი“ და „იუვენტუსი“. შავ-წითლებმა ორივე მეტოქე დაამარცხეს და ორივე შემთხვევაში ჩამორჩენა გამოასწორეს.

„ინტერს“ შავ-წითლებმა 2:1 აჯობეს, თან ისე, რომ ორი გოლი ოთხ წუთში მიაყარეს მოწინააღმდეგეს. აღსანიშნავია, რომ სანამ ჯუზეპე ფავალი ანგარიშს გაათანაბრებდა ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის ყოფილ გუნდს გოლს გაუტანდა, შეხვედრას „შავ-ლურჯები“ აკონტროლებდნენ, მაგრამ გათანაბრდა თუ არა ანგარიში, მარკო ბორიელომ მეორე მიაყოლა. საინტერესოა, რომ „მილანის“ თავკაცის კარლო ანჩელოტის თქმით, ფავალის კარიერაში სულ ხუთიექვსი გოლი აქვს გატანილი, მაგრამ ამ მატჩის წინ მწვრთნელისთვის ნათელი იყო, რომ ის აუცილებლად შეაგდებდა ბურთს „ინტერის“ კარში. მიზეზი? „თავისი ყოფილი გუნდის კარში გოლის გატანა ფეხბურთში კლასიკური მოვლენაა და მე სწორედ ეს ვუთხარი ფავალის“.

„ინტერში“ ალვარო რეკობა გამოირჩეოდა, კარგი პასების დარიგების იშტაზე მოსულიყო და ხულიო კრუზსაც სწორედ მან გაახსნევინა ანგარიში.

„ინტერის“ და „იუვენტუსის“ შეხვედრა 1:1 დამთავრდა და პენალტებით ტურინელებმა იმძლავრეს. ანგარიში დელ პიერომ გახსნა — პინტურიჩო სამთა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს — ლუიშ ფიგუმ კი გაათანაბრა. მოგეხსენებათ, ეს იყო მატჩი იტალიის ტიტულჩამორთმეულ და ტიტულმინიჭებულ ჩემპიონებს შორის, რომელმაც რამდენიმე ყვითელი ბარათის გარეშე ვერ ჩაიარა. მეტიც, ორი ყვითელი იუვენტუსელ ჯულიანო ჯანიკედას გაუწითლდა კიდეც.

გადამწყვეტ შეხვედრაში „მილანმა“ „იუვენტუსს“ 3:1 მოუგო. ანგარიში მარსელო ზალაიეტამ გახსნა, შემდეგ კი კლარენს ზეედორფმა ორი, ხოლო კაკამ პენალტით ერთი გოლი გაიტანა.

„დღევანდელი ტესტი ძალიან საინტერესო გამოდგა — თქვა შეჯიბრების შემდეგ მილანელთა თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ — ჩემმა გუნდმა საქმისადმი სწორი დამოკიდებულება გამოამჟღავნა, ეს კი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრს ლაპარაკობდნენ ჩვენს დაცვაზე, მაგრამ დაცვას არ ვუჩივი. პაოლო მალდინი და ალესანდრო ნესტა ამ საღამოს უკვე მოედანზე იდგნენ, კახა კალაძე კი გამოჯანმრთელების გზაზეა და ორშაბათს ისიც რიგზე იქნება. ვიცი, ჩვენი მცველებიდან ზოგი ახალგაზრდა აღარ არის, მაგრამ ჯამში დაცვა მაინც ძალიან საიმედო გვყავს. მგონი მალდინის შემყურე ხალხი დღეს სხვა დასკვნას ვერ გამოიტანდა. პაოლო ხომ ოთხი თვე მკურნალობდა“.

პაპუნა კედია

შიშნაჭამი ტოშაკი დაიშოკა

უელსის ნაკრებმა თვითმფრინავში შიში ჭამა — ჩარტერი, რომელსაც ჯონ ტოშაკის ბიჭები ჩეხეთში მიჰყავდა, ბორნმუთში ავარიულად დაჯდა. მიზეზი: დაახლოებით სამ კილომეტრზე აფრენილს წინა ფანჯარა მოერყა. აეროპორტში „ევროპიან აირვეიზ 737“-ს სამი სახანძრო მანქანა ელოდა.

მიუხედავად ამისა, ჯონ ტოშაკს იუმორის გრძნობა არ დაუკარგავს: „ჩემზე ყოველთვის ამბობდნენ, ჰაერში ძლიერიაო (თავით თამაში იგულისხმება), მაგრამ ეს მეტისმეტი იყო. სერიოზულად კი არ დავმალავ, რომ, როდესაც პილოტმა ეკიპაჟი თავისთან გამოიძახა, შევშინდი. მთელი ჩემი ცხოვრება დავფრინავ და ამგვარი არასდროს არაფერი გადამხდენია. კიდევ კარგი, ბორნმუთთან ახლოს ვიყავით და მალე დავჯექით, თუმცა იმის თქმა, რომ ყველას გული გაგვისკდა, მართალი არ იქნება, მაგრამ ასეთ დროს, ბუნებრივია, რომ ადამიანი შეშფოთდები“.

თვითმფრინავი, რომელშიც ფეხბურთელების გარდა, საფეხბურთო მაღალჩინოსნები და ჟურნალისტები ისხდნენ, კარდიფიდან საათნახევრის აფრენილი გახლდათ.

პაპუნა კედია

ინგლისური ოლიგარქულები

კლუბების შემსყიდველთა კლუბი დროს და ფულს არ კარგავს

ასე და ამგვარად, კარლოს ტევესი და ხავიერ მასკერანო ყველასთვის მოულოდნელად ლონდონის „ვესტ ჰემში“ გადავიდნენ და ხელები მოიფშვნიტეს, ერთი სული გვაქვს, საქმეში როდის ჩავებმებითო. ფოტო, რომელიც ბრაზილიური „კორინთიანსის“ აწ უკვე ყოფილ ფეხბურთელებს „სანის“ რეპორტიორებმა გადაუღეს, მათ „დოკლენდს მერიოტ ოტელის“ ლიფტში აღბეჭდავს, ხოლო კითხვა, რატომ არ გადავიდნენ 22 წლის მეგობრები „მანჩესტერ იუნაიტედში“ ან „არსენალში“, საინტერესო თემად რჩება


კარლოს ტევესი

აპაჩი ჩაქუჩით და ყურზე იარით

სუპერაგენტმა არგენტინელები ლონდონში ცხენით ჩაიყვანა

ტევესი: „ინგლისში გადასვლა დიდი ხანია გულში მქონდა ამოჭრილი და სანამ გაზეთებში სხვა კლუბებზე წერდნენ უამრავ რამეს, „ვესტ ჰემმა“ მე და ხავიერს მშვენიერი წინადადებით მოგვმართა. პრემიერლიგაში თამაში ჩემთვის დიდი გამოწვევაა. მიხარია, რომ ამ გამოწვევას ისეთი ისტორიული კლუბის მაისურით ვიღებ, როგორიც „ვესტ ჰემი“ გახლავთ“.

ტევესისა და მასკერანოს ტრანსფერმა ინგლისელ ჟურნალისტებს 1978 წელი გაახსენა, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ლონდონის სხვა გუნდმა, „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ოსვალდო არდილესი და რიკარდო ვილა იყიდა.

რამდენადაც ცნობილია, „ჩაქუჩებმა“ „კორინთიანსის“ არგენტინელებში მხოლოდ ერთი მილიონი გირვანქა გადაიხადეს და ერთწლიანი გარიგება გაუფორმეს, თუმცა თუ მხარეებს ერთმანეთი მოეწონებათ, ტრანსფერი მყისვე 30 მილიონიანი გახდება.

აქ, ალბათ, საინტერესო იქნება იმის განმარტება, რომ ტევესი და მასკერანო ნაწილობრივ „მედია სპორტს ინვესტის“ საკუთრებანი გახლავან, ეს კორპორაცია კი (სწორედ მას ხელმძღვანელობს ირანელი მილიარდერი კია ჯურაბჩიანი, რომლის შესახებაც ხშირად გვსმენია) თავად „კორინთიანსის“ მეპატრონეცაა და პლუს, შარშან 70 მილიონ გირვანქად „ვესტ ჰემის“ ყიდვას ცდილობდა. ამბობენ, რომ ტევესისა და მასკერანოს ტრანსფერის ამბავთან სუპერაგენტი პინი ზაჰავი და დოღის ცხენთა მეპატრონე მაიკლ ტაბორიც არიან დაკავშირებულები. როგორც მიმოხილველები ამბობენ, ჯურაბჩიანსა და „ვესტ ჰემის“ პრეზიდენტ ტერენს ბრაუნს შორის, საკუთრივ კლუბის გარშემო უკვე სხვანაირი ვაჭრობა შეიძლება გაჩაღდეს. ბრაუნი ჯურაბჩიანს 130 მილიონს სთხოვდა.

ერთი სიტყვით, ტევესმა და მასკერანომ მარბელ არჩზე მდებარე „კამბერლნელ ოტელში“ (ლონდონში სასტუმროებს რა გამოლევს) ქაღალდებს ხელი მოაწერეს და პირდაპირ არგენტინის ნაკრების ბანაკს მიაშურეს — მოგეხსენებათ, კვირას, „არსენალის“ ახალ, „ემირატ სთედიუმზე“ არგენტინა და ბრაზილია ხვდებიან ერთმანეთს — ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფი ალექს ფერგიუსონი ხახამშრალი დარჩა. მას მარტო ტევესის ყიდვა უნდოდა, მაგრამ 14 მილიონზე მეტს ვერ გადაიხდიდა.

ტევესი, როგორც მოგეხსენებათ, 22 წლისაა. მას მეტსახელად აპაჩის ეძახიან, რადგან ბუენოს აირესის ახლოს, ფუერტე აპაჩიშია გაზრდილი. ბავშვობაში მდულარე წყალთან დაკავშირებულმა ამბავმა ყურზე ნაირევი დაუტოვა. ის გახლავთ 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონი და 8 გოლით ოლიმპიადის საუკეთესო ბომბარდირი. „კორინთიანსმა“ ტევესი 20 თვის წინ 12 მილიონ გირვანქად იყიდა. 2003 და 2004 წლებში ის არგენტინის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

ახალი ფეხბურთელების ყიდვამ „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი ალან პარდიუ სიხარულით მეცხრე ცას სწია.

„დღეს ჩვენი გუნდისთვის ფანტასტიკური დღეა — თქვა მან — კარლოსის და ხავიერის ჩამოსვლამ მარტო მე კი არ გამახარა, არამედ მთელი გუნდი. მწამს, ფანებიც ბედნიერები არიან. ჩვენმა თავმჯდომარემ ორშაბათს გამანდო წყვილის შ ჰენის შესაძლებლობის ამბავი“.

პაპუნა კედია

P.S. წუხელ შევიტყვეთ, რომ ლონდონის „ვესტ ჰემი“ უკვე გაიყიდა და... მისი პატრონი ბადრი პატარკაციშვილია.

პატარკაციშვილ-„ვესტ ჰემის“ გარიგებაში კიდევ ვინ და რა ხალხი მონაწილეობს, ამაზე ზოგადად ზემორე წერილშია მოთხრობილი. ჩვენ კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის „დინამოს“ ჯერაც პრეზიდენტი ლონდონის „ვესტ ჰემის“ ან პატრონია, ანაც სოლიდური მეწილე.

პორტუგალიის ყური ბლატერის ხელშია. ჰოლანდიისა — მონტიორების


ჟილბერტო მადაილი ფიფადან დამძიმებული წამოვიდა

ჰოლანდია და პორტუგალია ცეცხლს ეთამაშებიან. ორივე ქვეყნის ნაკრები, შესაძლოა, ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპიდან მოკვეთონ. პორტუგალიაში უფრო რთულადაა საქმე, ვიდრე „ტიტების ქვეყანაში“, პორტუგალიის ჩემპიონატი სკანდალით დაიწყო. მიზეზი: „ჟილ ვისენტემ“ წინა სეზონში ანგოლელი ფეხბურთელი მათეუსი წესების დარღვევით ათამაშა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ სუპერლიგიდან გააგდო, მის ნაცვლად კი „ბელენენსეშს“ უხმო. „ჟილ ვისენტემ“ სამოქალაქო სასამართლოში იჩივლა, საქმე გაიწელა და მომჩივანის გამართლებით დასრულდა. ჩემპიონატიც ვერ დაიწყო იმდენი გუნდით, რამდენითაც უნდა დაწყებულიყო. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის შეფს, ჟილბერტო მადაილს ფიფას მაღალჩინოსნები შეხვდნენ და თითი დაუქნიეს. შესაძლოა, ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევიდან მოკვეთონ, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში „პორტუ“, „სპორტინგი“ და „ბენფიკა“, „კიევთი“, „აიაქსით“ და „ოსასუნათი“ შეცვალონ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი „ჟილ ვისენტე“ ქვედა დივიზიონში თამაშს არ დაყაბულდება. მთავრობაც კი აჯანყებულ გუნდს დაშოშმინებას სთხოვს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ფიფას განცხადებით, ორ-სამ დღეში განაჩენი გამოცხადდება.

რაც შეეხება ჰოლანდიას, იქ ენერგეტიკოსები გაიფიცნენ ახალი კანონპროექტის გამო და ოთხშაბათს „ნარინჯისფერთა“ და ბელარუსთა მატჩზე, რომელიც ეინდჰოვენში უნდა გაიმართოს, სტადიონის დაბნელებით იმუქრებიან. აქაც ფიფა ჩაერია საქმეში და ნაკრების მოკვეთით იმუქრება. ეკონომიკის მინისტრი იოოპ ვინი ენერგეტიკოსებს დაწყნარებისაკენ მოუწოდებს, მაგრამ ისინი კანონპროექტის გადახედვას და რაღაც-რაღაცების შეცვლას ითხოვენ.

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „რომას“ ფორვარდი შაბანი ნონდა პრემიერლიგის „ბლეკბერნში“ ერთი წლით გადავიდა. ინგლისური კლუბი ფეხბურთელით კმაყოფილი თუ დარჩება, სეზონის ბოლოს მის კონტრაქტს გამოისყიდის. შეგახსენებთ, რომ დემოკრატიული კონგოს ნაკრების მეგოლე „რომაში“ ორი წლის წინ, „მონაკოდან“ მივიდა.

პორტუგალიის ჩემპიონმა „პორტუმ“ ურუგვაელი მცველი ხორხე ფუსილე შეიძინა. 21 წლის ფეხბურთელმა კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფუსილე „პორტუმდე“ მონტევიდეოს „ლიკერპულში“ თამაშობდა.

ჰოლანდიურმა „ფეიენოორდმა“ „აიაქსისგან“ ბერძენი ფორვარდი ანგელოს ხარისტეასი გადაიბირა. ფეხბურთელის სანაცვლოდ როტერდამელებმა 2 მილიონ 500 ათასი ევრო გადაიხადეს. ბოლო 14 წლის განმავლობაში ეს პირველი სატრანსფერო გარიგებაა ორ ჰოლანდიურ გრანდს შორის. ევრო 2004-ის ფინალში გოლის გამტანმა ხარისტეასმა „ფეიენოორდთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „აიაქსში“ ბერძენი 2005-ის იანვარში, „ვერდერიდან“ გადავიდა.

ესპანურმა „უელვამ“ ფრანგული „ბორდოდან“ პორტუგალიელი ცენტრალური მცველი ბეტუ იყიდა. 30 წლის ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებში 33-ჯერ უთამაშია, „უელვას“ მესამე ახალწვეულია პაბლო ამოსა და ხავი გერეროს შემდეგ.

ინგლისური „არსენალის“ ფრანგი მცველი პასკალ სიგანი ესპანურ „ვილიარეალში“ გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „არსენალმა“ ფრანგი ოთხი წლის წინ „ლილიდან“ იყიდა. ერთი ხანობა კარგად თამაშობდა, ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ ბოლოს ადგილი დაკარგა. ეს უკვე „ვილიარეალის“ მეორე „არსენალური“ შენაძენია. „ქვითლებმა“ ორი თვის წინ „მეთოფეებისგან“ რობერ პირესი წაიყვანეს.

ბრაზილიური „ინტერნასიონალი“ ორი ფეხბურთელით გაძლიერდა. პერუელი მცველი მარტინ იდალგო პარაგვაული „ლიბერტადიდან“ გადაიბირა, ხოლო ნახევარმცველი პინგა — იტალიური „ტრევიზოდან“. შეგახსენებთ, რომ „ინტერნასიონალმა“ ერთი თვის წინ ლიბერტადორესის თასი მოიგო.

ინგლისურმა „ნიუკასლმა“ „მანჩესტერ სიტისგან“ ფრანგი ნახევარმცველი ანტუან სიბიერსკი შეიძინა, გარიგების ფასი კი უცნობია. შემტევმა ნახევარმცველმა, რომელსაც „სიტიში“ ჩატარებულ 92 მატჩში 11 გოლი გაუტანია, „ნიუკასლთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

მსრეგბაჩეჩილი დეშანი: რატომ დავიხიეთ უკან?



დიდიე დეშანი



ჯოვანი კობოლი ჯილი

„იუვენტუსმა“ სამოქალაქო სასამართლოში აღარ იჩივლა, ასე რომ, იტალიის ჩემპიონატს საფრთხე არ ემუქრება, ის ნამდვილად დაიწყება შემდეგ შაბათს, 9 სექტემბერს. ჩემპიონატთან ერთად, გადარჩნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილე სერია A-ს კლუბები და ნაკრები, რომელსაც, იმ შემთხვევაში, თუ „იუვე“ სამოქალაქო სასამართლოში იჩივლებდა, ფიფა დისკვალიფიკაციით ემუქრებოდა. შეგახსენებთ, რომ კალჩოპოლის სკანდალში მონაწილეობის გამო სპორტულმა ტრიბუნალმა ტურინელებს ბოლო ორი ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა, სერია B-ში მიუჩინა ადგილი და ახალი სეზონის მინუს 17 ქულით დაწყება უბრძანა, რის გამოც „იუვენტუსი“ სამართლის პოვნას სამოქალაქო სასამართლოში აპირებდა.

„ეს გადაწყვეტილება კარგია არა მხოლოდ „იუვენტუსისთვის“ — დიპლომატიურად განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ.

„ბებერი ქალბატონის“ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ტურინული კლუბი ითვალისწინებს სპორტულ ფასეულობებს და სხვა იტალიურ კლუბებს უდასტურებს ერთგულებას, რაც მისი ოდინდელი გამოკვეთილი თვისებაა.

ხოლო „იუვეს“ მწვრთნელს, ფრანგ დიდიე დეშანს სხვა თვისება აღმოაჩნდა — მან თავი ვერ შეიკავა და საკუთარი დირექტორების გადაწყვეტილებაზე ძალიან შესამჩნევად აიჩეჩა მხრები.

„უნდა ვაღიარო, რომ არ მესმის, რატომ დაიხია დირექტორთა საბჭომ უკან. უნდა დავიცადო და მათ განმარტებას მოვუსმინო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, კლუბს სამოქალაქო სასამართლოში უნდა ეჩივლა და აღარ ჩივის. თუმცა, ჩვენი ერთადერთი საქმე მუშაობა და 9 სექტემბერს მოედანზე გასვლაა“ — თქვა მწვრთნელმა.

უფრო მორიდებული იყო ალესანდრო დელ პიერო: „მეც ძალიან ვწუხვარ და დეშანის განცდაც კარგად მესმის, მაგრამ მოგეხსენებათ, მე „იუვეში“ დავრჩი და ეს იმიტომ არ გამიკეთებია, რომ ვინმემ სერია A-ში გრანტი მომცა. ჩვენი საქმე სახელოების დაკაპიწება და მუშაობაა.“

პაპუნა კედია

აიალას აჯანყება ბაუტისტამ ჩააქრო

„ვალენსიას“ არგენტინელმა მცველმა რობერტო აიალამ კლუბის შეფებთან პრობლემები მოაგვარა და „ღამურებში“ რჩება. აიალა აგვისტოს დასაწყისში აჯანყდა, მიზეზი: კლუბი კონტრაქტის გახანგრძლივებას შეჰპირდა, მაგრამ ბოლოს უარი უთხრეს.

„ვალენსიას“ ოფიციალურ განცხადებაში წერია: „რობერტო აიალა ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე, ანუ 2007 წლის ივნისამდე დარჩება. სეზონის განმავლობაში ჩვენ დავუბრუნდებით კონტრაქტის გახანრძლივების საკითხს, ფეხბურთელმა კი დაადასტურა, რომ გუნდიდან წასვლა გადაიფიქრა“.

არგენტინელი მცველი კლუბის პრეზიდენტ ხუან ბაუტისტა სოლერს შეხვედრია და პრობლემაც ამის შემდეგ მოგვარებულა.

აჯანყებული აიალას შემენით მადრიდის „რეალი“ და „ვილიარეალი“ იყვნენ დაინტერესებულნი. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი „ვალენსიაში“ 2000 წელს „მილანიდან“ გადავიდა. იგი იყო „ღამურების“ ლიდერი და ამ გუნდში ორჯერ პრიმერადივიზიონი (2002, 2004) და ერთხელ უეფას თასი (2004) მოიგო.

„ვალენსიას“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, სტეფანო ფიორე კი იტალიურ „ტორინოს“ ერთი სეზონით ათხოვეს. 31 წლის ფიორეს „ღამურებთან“ კონტრაქტი 2007-ის ივნისამდე აქვს. იგი „ლაციოდან“ იყიდეს 2004 წელს და წინა სეზონი იჯარით „ფიორენტინაში“ გაატარა.

ირაკლი ნინიძე

აილტონი წითელი ვარსკვლავია

„ბეშიქთაშის“ ექსმოიერიშე აილტონი და ეკვადორელი სეგუნდო კასტილიო კარიერას „ცრვენა ზვეზდაში“ გააგრძელებენ.

33 წლის ბრაზილიელი აილტონი, რომელმაც თავი „ვერდერში“, „შალკესა“ და „ჰამბურგში“ ბურთაობისას გამოიჩინა, სერბულ კლუბში ნიკოლა ჟიგიჩს შეცვლის (თავად ჟიგიჩი „რასინგში“ გადაბარგდა). „აილტონთან ხელშეკრულება უკვე გავაფორმეთ. იგი „ცრვენა ზვეზდაში“ ორ სეზონს ითამაშებს. ბრაზილიელი გამოცდილი ფორვარდია და იმედი მაქვს, კლუბს დიდ სარგებლობას მოუტანს“ — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში „ცრვენა ზვეზდას“ სპორტულმა დირექტორმა სტეფან სტოიანოვიჩმა.

ეკვადორის ნაკრების წევრმა და განვლილი გერმანული მუნდიალის მონაწილე სეგუნდო კასტილიომაც ხელი ორსეზონიან კონტრაქტს მოაწერა. ბელგრადში ჩასვლამდე კასტილიო „ნასიონალის“ წევრი გახლდათ. „ცრცვენა ზვეზდაში“ გადმოსვლამდე ორი დღით ადრე ამ კლუბის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ ახლა უკვე ბევრი რამ გავიგე, ბელგრადიც მომწონს და გუნდიც შესანიშნავია“ — აღნიშნა სამხრეთამერიკელმა ნახევარმცველმა.

ლადო ხომერიკი

ცოლმა ქმარი ომში არ გაუშვა

ბელსომებათ, გუშინ, გერმანელი იურგენ კოლერის კოტ დივუარის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შესახებ გაუწყეთ. მართალია, კოტ დივუარის ფეხბურთის ფედერაციამ ეს ინფორმაცია გაავრცელა, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ცოტა იჩქარა. კოლერის ოჯახს, განსაკუთრებით კი მის მეუღლეს, ეს იდეა არ მოსწონებია და ახალგაზრდა მწვრთნელმა ბოლო მომენტში თქვა უარი.

„ბოლოწამს გვაცნობეს, რომ კოლერის ცოლმა აქაური პოლიტიკური მდგომარეობა დაიწუნა და ამის გამო მეუღლეს გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ძალიან იმედგაცრუებულნი ვართ, რადგან საკმაოდ ხანგრძლივი მოლაპარაკებები გვქონდა და როდესაც კონტრაქტზე ხელის მოწერაღა იყო დარჩენილი, ეს ამბავი შევიტყვეთ. მწვრთნელის ძებნას გავაგრძელებთ, რომლის ვინაობაც 8 ოქტომბრამდე ანუ გაბონთან მატჩამდე გახდება ცნობილი“ — თქვა კოტ დივუარის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლამბერტ ფეჰკესემ.

კოტ დივუარი 2002-2003 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყო, ჩრდილოეთად და სამხრეთად. სამხრეთს ამჟამინდელი მთავრობა აკონტროლებს, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე შეიარაღებული დაპირისპირებები და კოლერის მეუღლეც, ალბათ, ამან დააშინა.

კოტი კანდელაკი

შიგანი განიერია: ერთი გუნდი იყიდა

სვეტოსლავ ტოდოროვი

პრემიერლიგის „უიგანმა“ სამი ფეხბურთელი შეიძინა: ირლანდიის ნაკრების ნახევარმცველი კევინ კილბეინი, უელსელი ფორვარდი დეივიდ კოტერილი და ბულგარელი შუახაზელი სვეტოსლავ ტოდოროვი.

29 წლის კილბეინი უიგანელების მეცხრე შენაძენია, 18 წლის კოტერილი მეათე, ხოლო ტოდოროვი მეთერთმეტე. კოტერილი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი საათით ადრე გახდა „უიგანის“ წევრი, მის სანაცვლოდ „ბრისტოლ სიტის“ 2 მილიონი გირვანქა გადაუხადეს.

სვეტოსლავ ტოდოროვის ტრანსფერი კი მაშინ შედგა, 31 აგვისტოს დასრულებას 12 წუთი რომ აკლდა. ბულგარელი ნახევარმცველი „პორტსმუთმა“ „უიგანს“ ერთი სეზონით ათხოვა.

აქვე ჩამოვთვალოთ ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ სამეულამდე შეიძინა კლუბმა: ემილ ჰესკი, ფიც ჰალი, ემერსონ ბოისი, დენი ლანდაატი, კრის კირკლანდი, ანტონიო ვალენსია, ტომაშ სივკა და ენდრიუ ვებსტერი.

„კილბეინს უდიდესი გამოცდილება აქვს. მას ყველაფერი უნახავს პრემიერლიგაში და ძალიან წაგვადგება“ — განაცხადა უიგანელთა თავკაცმა პოლ ჯუელმა, ხოლო დეივიდ კოტერილი ასე დაახასიათა: „უდავოდ ნიჭიერია და თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის“.

კევინ კილბეინი პრემიერლიგის მომდევნო ტურში „უიგანს“ ვერ დაეხმარება, რადგან „ევერტონის“ ყოფილი ფეხბურთელი გასულ უქმეებზე, „ტოტენჰემთან“ მატჩში გაძევეს და დისკვალიფიცირებულია.

გიორგი დარჯანია

ზე რობერტო პელესთან ითამაშებს

ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე რობერტო 2007 წლის ივლისამდე „სანტოსში“ ითამაშებს. პენტაკამპეონთა ნაკრების ფეხბურთელი მაისის შემდეგ უკლუბოდ იმყოფებოდა, რადგან მიუნხენის „ბაიერნის“ მესვეურებმა გადაწყვიტეს, მასთან კონტრაქტი აღარ გაეფორმებინათ.

ზე რობერტოს, კარგა ხანია, ბრაზილიურ გუნდში არ უთამაშია. ოკეანისგაღმელმა 1997 წელს მადრიდის „რეალს“ მიაკითხა და მას შემდეგ ოდენ ევროპაში გახლდათ. ახლა კი „სანტოსის“ ღირსებას დაიცავს. პელეს ყოფილ კლუბს დღეს ვანდერლეი ლუშემბურგო წვრთნის.

მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილმა მოთამაშემ მუნდიალის შემდეგ მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. ზე რობერტოს ბავარიულ გიგანტში გერმანიის ჩემპიონატი სამჯერ აქვს მოგებული.

ლადო ხოფერიკი

ღამურა ფილიპსზე

ჰოლანდიურმა პსვ-მ ორი ფეხბურთელი დაიმატა. ეინდჰოვენელთა მაისურით ამიერიდან პატრიკ კლუივერტი და იან კრომკამპი ითამაშებენ. პირველმა „ფილიპსის“ ბინადრებთან ერთწლიანი, ხოლო მეორემ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფინანსური დეტალები უცნობია.

ამსტერდამის „აიაქსისა“ და კატალონიური „ბარსელონას“ ყოფილი ვარსკვლავი კლუივერტი, 2005 წლის ზაფხულში „ნიუკასლიდან“ „ვალენსიაში“ გადავიდა, მაგრამ ვერც „ღამურებში“ მოიკიდა ფეხი, თან ტრავმებმაც გატანჯა და ათ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. ამ სეზონის დაწყებამდე კი უთხრეს, რომ ახალი კლუბის მოძებნა მოუწევდა. მანაც სამშობლოში დაბრუნება არჩია.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის კლუივერტს ჰოლანდიის ნაკრების რიგებში ყველაზე მეტი, 40 გოლი აქვს გატანილი 79 მატჩში. თუმცა, რაც ნაკრებში მარკო ვან ბასტენი მივიდა, მას „ნარინჯისფერი“ მაისურა ერთხელაც აღარ მოურგია.

კრომკამპმა კი ევროპულ გრანდებს „ალკმაარში“ კარგი თამაშით მოსჭრა თვალი. იგი „ვილიარეალმა“ იყიდა, მაგრამ მისი ესპანური კარიერა სათანადოდ ვერ აეწყო და „ლივერპულში“ გადაბარგდა, სადაც ასევე ვერ დამკვიდრდა ძირითად შემადგენლობაში.

კოტი კანდელაკი

ტრისტანი, სკალონი და ტელეფონი

დიეგო ტრისტანი

„დიეგო ტრისტანი და ლიონელ სკალონი ჰაერში გამოკიდებულნი დარჩნენ“ — ეწერა გუშინ ესპანურ მედიაში. „დეპორის“, ალბათ, უკვე ექსფეხბურთელები, მართლაც ცუდ დღეში ჩაცვივდნენ — კლუბმა მათ კონტრაქტი არ გაუხანგრძლივა და არც იმის საშუალება მისცა, კარიერა სხვაგან გაეგრძელებინათ — სატრანსფერო ფანჯარა ხომ გუშინწინ დაიხურა... „სანტანდერის „რასინგთან“ შეთანხმება თითქმის უკვე მიღწეული იყო, თუმცა „დეპორტივოს“ ხელმძღვანელობა მირჩევდა, არ ავჩქარებულიყავი, მეუბნებოდნენ, რომ ჩემთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებდნენ. 31 აგვისტოს საღამოს უეცრად „დეპორმა“ კონტრაქტის განახლებაზე უარი თქვა... „რასინგსაც“ ვერაფრით დავუკავშირდი. ჩემი დღევანდელი კლუბის ხელმძღვანელობა მარწმუნებს, სანტანდერში ვრეკავდით და ტელეფონს არავინ იღებდაო“ — დაიჩივლა სკალონიმ.

ტრისტანიც, ცხადია, ძალიან გაბრაზებულია. „არც მე, არც ლეო ასეთ მოპყრობას არ ვიმსახურებთ. თუ ჩვენთან დაკავშირებით სიტუაცია არ გაირკვა, „დეპორტივოს“ ვუჩივლებთ“ — ამბობს ესპანელი მოიერიშე. ახლა ყველაფერი ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციაზეა დამოკიდებული. ბოროტი ხუმრობის მოყვარული „დეპორისა“ და დაჩაგრული ბიჭების ამბავს ესპანური ფეხბურთის მამები გაარკვევენ.

ლადო ხოფერიკი

ფეხბურთის რუკასთან

ფრანგული „სოშოს“ მარიკელი ნახევარმცველი ჟაუად ზაირი პორტუგალიის „ბოავიშტაში“ გადავიდა. 24 წლის ფეხბურთელს ნაკრებში 29-ჯერ უთამაშია, ახალ კლუბთან კი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ბოავიშტას“ ამჟამად ჟელიკო პრეტროვიჩი წვრთნის, რომელმაც „პორტუში“ წასული ჟესუალდო ფერეირა შეცვალა.

ჩეხურმა „სპარტამ“ სეზონის ცუდად დაწყების გამო მწვრთნელი სტანისლავ გრიგა გაათავისუფლა. ამბობენ, რომ გრიგას მიხალ ბილეკი შეცვლის, რომელიც „ვიქტორიას“ თავკაცობს. „სპარტამ“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ვერ შეძლო, ახლა კი ჩემპიონატში მეცხრე ადგილზეა ხუთი ტურის შემდეგ.

ინგლისურმა „მანჩესტერ სიტიმ“ ჰოლანდიური პსვ-დან დამარკუს ბისლი ითხოვა. ამერიკელ ნახევარმცველს, რომელიც მარცხენა ფლანგზე თამაშობს, ოფიციალურად მომავალ კვირაში წარუდგენენ მედიას. 24 წლის ბისლი პსვ-ში 2004-ში, მეიჯორ ლიგის „ჩიკაგოდან“ გადავიდა და ორჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი.

შოტლანდიურმა „რეინჯერსმა“ დაადასტურა, რომ. ვენის „აუსტრიადან“ 26 წლის ბოსნიელი მცველი საშა პაპაჩი იყიდა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „გიჟური დღე იყო — თქვა გახარებულმა პაპაჩმა — ეს ფანტასტიკური ტრანსფერია, რადგან ერთ-ერთ უდიდეს კლუბში ვითამაშებ“.

გერმანულმა „ჰამბურგმა“ თანალიგელი „შტუტგარტიდან“ სერბი ფორვარდი დანიელ ლიუბოია ერთი სეზონით ითხოვა. ეს, „ჰამბურგის“ მიერ ამ კვირაში გადაბირებული მესამე ფეხბურთელია. თომას დოლმა მანამდე, ხუან პაბლო სორინი და ჟორის მატიისენი იყიდა.

ფრანგულმა „ლორიანმა“ გერმანული „ვოლფსბურგიდან“ ფორვარდი სტივ მარლე იყიდა. 32 წლის ფეხბურთელმა კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მარლე, რომელიც „ფულემმა“ 2002-ში 11 მილიონ გირვანქად შეიძინა, „ლორიანის“ შეტევას გააძლიერებს.

ინგლისურმა „ჩარლტონმა“ ფრანგული „სოშოდან“ სენეგალელი მცველი სულეიმანე დიავარა 5 მილიონ 500 ათას ევროდ იყიდა. ეს უკვე მერვე შენაძენია „ჩარლტონისა“ და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, რადგან გუნდს დაცვაში უჭირდა. ხოლო კლუბის ისტორიაში დიავარა სიძვირით მეხუთე ფეხბურთელია.

სიდნეიდან ინგლისში როი კინის ხათრით



იორკი და კინი „მანჩესტერში“

ინგლისური „სანდერლენდის“ ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა როი კინმა ოთხი ტრანსფერის გაჩარხვა მოასწრო. 35 წლის ირლანდიელმა „შავ კატებში“ თავისი ყოფილი თანაგუნდელები მიიყვანა.

პირველ რიგში, კინმა ექსთანაკლუბელი დუაიტ იორკი შეიძინა. „სანდერლენდმა“ 34 წლის ვეტერანში ავსტრალიურ „სიდნეის“ 200 ათასი გირვანქა გადაუხადა, თავად ტრინიდადელი კი კვირაში 25 ათას გირვანქას მიიღებს. კონტრაქტი ორწლიანია.

„ძალიან სამწუხაროა, რომ დუაიტი წავიდა. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელი და პიროვნებაა, რომელიც თავდაუზოგავად მუშაობს. აქ მას ყველა პატივს სცემდა და ნამდვილად დაგვაკლდება“ — თქვა „სიდნეის“ თავკაცმა, ყოფილმა ინგლისელმა მცველმა ტერი ბუჩერმა.

იორკის გარდა, „შავ კატებს“ „უიგანიდან“ ვეტერანმა ირლანდიელმა ნახევარმცველმა გრემ კავანაფმა და ასევე, კინის ყოფილ კლუბ „სელტიკიდან“ როს უოლესმა და სტანისლავ ვარგამ მიაშურეს.

კინს „სელტიკიდან“ კიდევ ერთი მოთამაშის, 35 წლის ნახევარმცველ ნილ ლენონის ყიდვაც სურდა, მაგრამ ეს ტრანსფერი გლაზგოელთა თავკაცმა გორდონ სტრაჩანმა დაბლოკა და არც ლესტერელი რიჩარდ სტრიმენის ხელში ჩაგდება გამოვიდა.

„სანდერლენდისგან“ ინტერესი მართლაც იყო, მაგრამ ჩვენმა მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა განმიცხადა, რომ არსად არ გამიშვებდა. როის დიდ პატივს ვცემ და მჯერა, იგი მწვრთნელობაში წარმატებას მიაღწევს“ — აღნიშნა ლენონმა.

შეგახსენებთ, რომ კინის ამოცანა „სანდერლენდის“ პრემიერლიგაში დაბრუნებაა, რაც ადვილი არ იქნება, რადგან პირველ ხუთ ტურში „შავმა კატებმა“ ოთხი მატჩი წააგეს და ოდენ ერთი მოიგეს. კინის დებიუტი კი მომავალ კვირაში შედგება.

გიორგი კაკაბაძე

ქალაქური გაცვლა

კოული და გალასი ლონდონს ვერ გასცდნენ

ლონდონის „ჩელსიმ“ და მისმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ მიზანს მიაღწიეს — ეშლი კოული ამიერიდან „სტემფორდ ბრიჯზე“ ითამაშებს. სანაცვლოდ კი, „არსენალმა“ უილიამ გალასი და 5 მილიონი გირვანქა მიიღო. მხარეებმა კონტრაქტი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, 31 აგვისტოს შეათანხმეს.

„ჩელსი“ კოულს დაახლოებით წელიწად-ნახევარი უტრიალებდა, მაგრამ აქამდე არაფერი გამოსდიოდა. ახლა კი 25 წლის მცველი „ვალენსიაში“ წასულ ასიერ დელ ორნოს შეცვლის და მაურინიუს გუნდში დაცვის მარცხენა ფლანგის ბატონ-პატრონი გახდება.

კოული „მეთოფეებში“ 1998 წლიდან ირიცხებოდა და კლუბის ერთ-ერთი ლიდერიც გახლდათ, მას „არსენალის“ მაისურით ორასზე მეტი მატჩი ჩაუტარებია, ნაკრებში კი 51-ჯერ უთამაშია.

რაც შეეხება გალასს, 29 წლის ფრანგი, რომელსაც დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში და ფლანგზეც, „ჩელსიში“ 2001 წელს „მარსელიდან“ 6,2 მილიონ გირვანქად გადავიდა. იგი არსენ ვენგერს „მეთოფეების“ დაცვაში ვაკუუმის ამოსავსებად ძალიან დაეხმარება. კოულის გარდა, „არსენალი“ ამ ზაფხულს კიდევ ორმა მცველმა დატოვა — პასკალ სიგანმა და სოლ კემპბელმა.

კოკი კანდელაკი

მატჩი სასამართლოში: მოიესი რუნის შეხვდება

„ევერტონის“ მწვრთნელი დევიდ მოიესი თავისი ყოფილი შეგირდის, ამჟამად კი „მანჩესტერ იუნიტედის“ ფორვარდის, უეინ რუნის წინააღმდეგ ჩივილს აპირებს. მიზეზი: 20 წლის ვარსკვლავმა ავტობიოგრაფიულ წიგნში მოიესისთვის უსიამოვნო რამ დაწერა.

რუნიმ, რომელიც „მანჩესტერში“ „ევერტონიდან“ 2004 წელს 25 მილიონ გირვანქად, ანუ 48 მილიონ დოლარად გადავიდა, პირველი ნაბიჯები სწორედ „გუდისონ პარკზე“ გადადგა, თუმცა წიგნში „ჩემი ამბავი დღევანდლამდე“, რომელიც „დეილი მეილში“ ნაწილ-ნაწილ იბეჭდება, წერს, რომ მას მოიესთან ურთიერთობები ისე გაუფუჭდა, რომ მზად იყო ნებისმიერ გუნდში გადასულიყო, ოღონდ კი „ევერტონისთვის“ დაეღწია თავი.

BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში მოიესის ადვოკატმა მელ გოლდებერგმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი რუნისაც აუცილებლად უჩივლებს და გაზეთ „დეილი მეილსაც“. განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ფრაზამ — „მოიესმა მაიძულა წავსულიყავი გუნდიდან“. მელ გოლდებერგის განცხადებით, ასეთი ფრაზა, რომელიც გაზეთში ჰედლაინადაც კი მიდიოდა და რომელიც ჭეშმარიტებიდან მილიონ მილზეა, ადამიანს შეურაცხყოფს.

„სასამართლოში მოიესს გამარჯვების საუცხოო შანსი აქვს, რადგან ის მთელი ექვსი თვის განმავლობაში ყველა ღონეს ხმარობდა, რათა რუნი „ევერტონში“ შეენარჩუნებინა“ — განაცხადა ვექილმა.

პაპუნა კედია



დუალა მბელა

ახალი პატრონის, არკადი გაიდამაკის ფულით წელგამართულმა „პორტსმუთმა“ ამ კვირაში სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი დაიმატა — ფორვარდი ენდი კოული „მანჩესტერ სიტიდან“, ნახევარმცველი ნიკო კრანჩარი სპლიტის „ჰაიდუკიდან“ და კამერუნელი გარემარბი რუდოლფე დუალა მბელა ლისაბონის „სპორტინგიდან“. ეს უკანასკნელი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე გადაიბირეს და ჯერჯერობით ერთი წლით ითხოვეს. პორტის გუნდს სეზონის ბოლოს უფლება ექნება შეიძინოს საკმაოდ სწრაფი, 27 წლის კამერუნელი, რომელსაც 13-ჯერ უთამაშია ნაკრებში.

ინგლისური მედიის ცნობით, ენდი კოულის ტრანსფერი ერთი მილიონი გირვანქა დაჯდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს, ნიკო კრანჩარის კონტრაქტი ოთხწლიანია, ხოლო მის სანაცვლოდ გადახდილი თანხა — უცნობი. კრანჩარის მამა ზლატკო მსოფლიოს გაწვლილ ჩემპიონატზე ხორვატიას თავკაცობდა და მუნდიალის დასრულების შემდეგ გადადგა. მას ხშირად აკრიტიკებდნენ სამშობლოში, ნაკრებში ნიკოს მხოლოდ შენი შვილობის გამო ათამაშებ, ისე კი ღირსი არ არისო.

ამ ფეხბურთელამდე „პორტსმუთმა“ არანაკლებ ძლიერი ბიჭები შეიძინა: მეკარე დევიდ ჯეიმსი, მცველი სოლ კემპბელი და ფორვარდი ნვანკო კანუ, რომელმაც პრემიერლიგის სამ ტურში ოთხი გოლის გატანა მოასწრო.

ირაკლი ნინიძე

ვირი პალერმოში ჩაფრინდა

იტალიურმა „პალერმომ“ „კიევოს“ აწ უკვე ყოფილი ბრაზილიელი ფორვარდი კარვალიო დე ოლივეირა ამაური ჩაიგდო ხელში. სიცილიელებმა მასში „მფრინავ ვირებს“ 8 მილიონი ევრო გადაუხადეს, ხოლო ფეხბურთელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ამაური უკვე რამდენიმე წელია, სერია A-ში საკმაოდ კარგად თამაშობს და მას ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორს, კატალონიურ „ბარსელონასაც“ კი უკავშირებდნენ. გარდა ამისა, ბრაზილიელის შეძენა სურდა „უდინეზესაც“.

„შემეძლო, „უდინეზეში“ გადავსულიყავი, მაგრამ „პალერმო“ ვარჩიე, რადგან სიცილიელებთან ერთად უფრო მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებ“ — თქვა ამაურიმ.

გარდა ამისა, „პალერმომ“ არგენტინელი ნახევარმცველი მარიანო გონსალესი „ინტერში“ გაანათხოვრა, ხოლო ლეანდრო რინაუდო „სიენაში“.

გიორგი კაკაბაძე

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲘ

ᲞᲐᲠᲐᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა						
		2 სექტემბერი						
18:00	3	ბორნმუთი-ოლდჰემი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	4	ბრენტფორდი-ბრედფორდი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
18:00	5	ბრისტოლი-ბრაიტონი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
15:15	7	ქრიუ-ჰადერსფილდი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
18:00	9	მილუოლი-ბლეკპული	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
18:00	10	ნოტინგემი-ნესტერფილდი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
18:00	14	ტრანმერი-ლეიტონი	1.70	3.30	4.85	1.12	1.25	1.96
		3 სექტემბერი						
17:00	6	კარლაილი-ნელტენემი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
17:00	11	პორტ ვეილი-დონკასტერი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		ინგლისი. II ლიგა						
		2 სექტემბერი						
18:00	15	ბარნეტი-უოლსოლი	2.75	3.20	2.30	1.47	1.25	1.33
18:00	21	დონსი-ნოტსი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
18:00	23	როჩდეილი-ჰერეფორდი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
		3 სექტემბერი						
17:00	22	პიტერბრო-ბერი	1.55	3.40	5.80	1.06	1.22	2.14
17:00	25	სტოკპორტი-როუერსი	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
		ინგლისი. კონფერენსი						
		2 სექტემბერი						
16:00	39	ტემუორთი-სტივენეიჯი	2.55	3.30	2.40	1.43	1.23	1.38
16:00	40	ალდერშოტი-ჰალიფაქსი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
16:00	43	ქროული-ნორთვიჩი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
16:00	47	მორეკომბი-ვეიმუთი	2.25	3.30	2.80	1.33	1.24	1.51
16:00	49	საუთპორტი-გრეიესენდი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
		3 სექტემბერი						
18:00	41	ალტრინჩემი-ლაგ ენდ რედი	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		3 სექტემბერი						
18:00	58	კუოდენბითი-პიტერჰედი	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
18:00	59	ფორფარი-ეარი	2.25	3.40	2.60	1.35	1.20	1.47
18:00	60	მორტონი-ალოა	1.40	3.90	6.30	1.03	1.14	2.40
18:00	61	სტირლინგი-რეითი	1.80	3.50	3.60	1.18	1.20	1.77
18:00	62	სტრანრარი-ბრეჩინი	2.10	3.60	2.60	1.32	1.16	1.50
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		3 სექტემბერი						
18:00	64	მონტროუზი-ალბიონი	1.80	3.40	3.60	1.17	1.20	1.74
18:00	65	ბერიკი-ქუინს პარკი	1.70	3.50	4.00	1.14	1.19	1.86
18:00	66	სტენჰაუსმური-ელგინი	1.45	4.00	5.70	1.06	1.15	2.35
18:00	67	დამბარტონი-არბროთი	2.25	3.40	2.60	1.35	1.20	1.47
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		2 სექტემბერი						
16:00	69	ალენი-დორტმუნდი(მ)	1.60	3.60	4.50	1.10	1.18	2.00
16:00	70	დიუსელდორფი-მაგდებურგი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
16:00	71	ჰამბურგი(მ)-ჰერტა(მ)	2.20	3.30	2.75	1.32	1.22	1.50
16:00	72	კილი-ვერდერი(მ)	1.60	3.50	4.40	1.09	1.17	1.94
16:00	73	ემდენი-ვილჰელმშავენი	1.75	3.40	3.95	1.15	1.21	1.82
16:00	74	ზტ.პაული-უნ ბერლინი	1.80	3.40	3.55	1.17	1.19	1.73
16:00	75	ოსნაბრიუკი-ვუპერტალი	1.75	3.40	3.80	1.15	1.19	1.79
		3 სექტემბერი						
16:00	76	მიონხენგლადბახი(მ)-ლიუბეკი	2.75	3.20	2.20	1.47	1.22	1.30
16:00	77	ერფურტი-დინამო	2.35	3.20	2.50	1.35	1.21	1.40
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		2 სექტემბერი						
16:30	83	ჰესენი-კაიზერსლაუტერნი(მ)	1.80	3.40	3.55	1.17	1.19	1.73
16:30	84	რეუტლინგენი-ზაარბრიუკენი	2.25	3.30	2.65	1.33	1.21	1.46
16:30	85	მიუნხენი1860(მ)-შტუტგარტი(მ)	2.50	3.20	2.40	1.40	1.22	1.37
16:30	86	ვეენი-ინგოლშტადი	1.70	3.40	3.90	1.13	1.18	1.81
		იტალია. სერია C1/A						
		3 სექტემბერი						
17:00	526	ლუკეზე-ნოვარა	1.85	2.60	4.80	1.08	1.33	1.68
17:00	527	ივრეა-ვენეცია	2.70	2.60	2.70	1.32	1.35	1.32
17:00	528	გროსეტო-პრო სესტო	1.70	2.90	5.00	1.07	1.26	1.83
17:00	529	მასესე-ჩიტადელა	2.20	2.60	3.40	1.19	1.33	1.47
17:00	530	მონცა-სანჯოვანეზე	1.90	2.70	4.30	1.11	1.31	1.65
17:00	531	პადოვა-პავია	1.80	2.80	4.80	1.09	1.30	1.76
17:00	532	პისტოიეზე-პრო პატრია	2.00	2.60	4.20	1.13	1.35	1.60
17:00	533	პიზიგეტონე-პიზა	2.65	2.60	2.70	1.31	1.33	1.32
17:00	534	სასულო-კრემონეზე	2.80	2.60	2.55	1.34	1.33	1.28
		იტალია. სერია C1/B						
		3 სექტემბერი						
17:00	535	ანკონა-ტერამო	2.00	2.60	4.20	1.13	1.35	1.60
17:00	536	აველინო-გალიპოლი	1.80	2.80	4.80	1.09	1.30	1.76
17:00	537	ფოჯა-ჩავეზე	1.75	2.90	4.80	1.09	1.28	1.80
17:00	539	სტაბია-მანფრედონია	1.90	2.70	4.50	1.11	1.33	1.68
17:00	540	ლანჩანო-სან მარინო	2.10	2.60	3.60	1.16	1.32	1.50
17:00	541	პერუჯა-სამბენედეტეზე	1.70	2.80	5.50	1.05	1.29	1.85
17:00	543	ტარანტო-რავენა	1.85	2.70	4.70	1.09	1.32	1.71
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		2 სექტემბერი						
22:00	99	ელჩე-ალბასეტე	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
20:30	100	ლორკა-სპორტინგი	1.85	2.90	4.30	1.12	1.29	1.73
21:30	102	მურსია-ალმერია	2.25	3.00	3.00	1.28	1.28	1.50
20:30	105	რეალი(ბ)-პერეულეხი	2.00	2.90	3.80	1.18	1.31	1.64
22:00	108	ვეცინდარიო-კასტელონი	2.35	2.90	2.95	1.29	1.30	1.46
23:00	109	სერესი-სიუდადი	2.15	2.80	3.40	1.21	1.31	1.53
		3 სექტემბერი						
22:00	101	მალაგა -ალავესი	2.00	3.00	3.50	1.20	1.27	1.61
21:00	103	ეხიდო-სალამანკა	2.10	2.80	3.55	1.20	1.31	1.56
22:00	104	პონფერადინა-ნუმანსია	2.60	3.00	2.60	1.39	1.29	1.39
21:30	106	ტენერიფე-კადისი	2.80	2.90	2.50	1.42	1.32	1.34
14:00	107	ვალიადოლიდი-ლას პალმასი	1.65	3.20	4.80	1.08	1.22	1.91
		ბელგია. II დივიზიონი						
		2 სექტემბერი						
22:00	119	ანტვერპენი-ტუბეკე	1.70	3.30	4.10	1.12	1.20	1.82
22:00	120	მეხელენი-დენდერი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
22:00	121	ოსტენდე-ეუპენი	2.05	3.20	3.00	1.24	1.21	1.54
22:00	122	რონსე-სტ.ჟილი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
22:00	123	ვირტონი-დაინცე	1.80	3.30	3.70	1.16	1.21	1.74
22:00	125	ლომელი-ჰევერლე	1.75	3.30	3.95	1.14	1.21	1.79
		3 სექტემბერი						
17:00	124	კორტრაიკი-ვაასლანდი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
17:00	126	ვარეგემი-ვიგორი	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
17:00	127	ტინენი-დესელი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		3 სექტემბერი						
18:00	150	პაუგესუნდი-მოსი	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
18:00	151	კონგსვინგერი-ფოლო	1.65	3.80	4.30	1.15	1.19	2.01
18:00	152	ჰორს გრენლანდი-ჰიონეფოსი	2.30	3.40	2.65	1.37	1.23	1.48
18:00	153	ტრომსდალენი-ჰიოდი	1.90	3.60	3.20	1.24	1.19	1.69
20:00	154	სოგნდალი-სპარტა ს	1.65	3.60	4.00	1.13	1.16	1.89
21:00	156	ალესუნდი-ლოვ პამი	1.20	5.20	11.00	1.00	1.08	3.53
		4 სექტემბერი						
19:45	149	ბრინი-სტრიომსგოდსეტი	2.60	3.40	2.35	1.47	1.23	1.38
		შვედეთი. სუპერეტა						
		3 სექტემბერი						
16:00	166	ქვიდინგი-უმეა	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
18:00	167	ასირიანა-ჰიალბი	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72
18:00	168	ბრომაპოიკარნა-ფალკენბერგი	1.60	3.60	4.80	1.10	1.20	2.05
18:00	169	იონკოპინგი-ლანდსკრონა	2.65	3.30	2.30	1.46	1.23	1.35
18:00	171	ვესბი-ლიუნგსკილე	2.20	3.30	2.85	1.32	1.24	1.52
		4 სექტემბერი						
21:00	172	ნორჩიოპინგი-დეგერფორსი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
21:00	173	იორეებრო-აგვიდაბერგი	1.55	3.70	4.70	1.09	1.16	2.07
		ირლანდია						
		3 სექტემბერი						
21:30	177	დერი-დუბლინი	1.35	4.00	7.50	1.00	1.14	2.60
20:30	179	ლონგფორდი-სლიგო	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
		აშშ						
		2 სექტემბერი						
23:45	195	კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
23:45	196	დალასი-ჰიუსტონი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
23:45	197	სოლტ ლეიკი-კოლორადო	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
23:45	198	ლოს ანჯელესი-კანსასი	1.95	3.00	3.55	1.18	1.25	1.62
		3 სექტემბერი						
23:45	199	ჩივასი-ვაშინგტონი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
23:45	200	ჩიკაგო-ნიუ იორკი	1.95	3.10	3.45	1.19	1.24	1.63
		მექსიკა						
		2 სექტემბერი						
23:45	210	კერეტარო-კრუს ასული	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
23:45	211	სან ლუისი-ვერაკრუსი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
23:45	212	ჩივასი-ატლანტე	1.95	3.20	3.35	1.21	1.23	1.63
23:45	213	მორელია-ხაგუარესი	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
23:45	214	ტიგრესი-ატლასი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
23:45	215	ნეკახა-მონტერეი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
		3 სექტემბერი						
21:00	216	პუმასი-პაჩუკა	1.85	3.20	3.65	1.17	1.22	1.70
23:45	217	ამერიკა-ტოლუკა	1.95	3.20	3.35	1.21	1.23	1.63
23:45	218	ტეკოსი-სანტოსი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
		არგენტინა						
		2 სექტემბერი						
23:45	221	ბანფილდი-სან ლორენსო	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
23:45	228	როსარიო-ინდეპენდიენტე	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
		3 სექტემბერი						
22:00	220	არსენალი-რივერ პლეიტი	2.95	3.20	2.15	1.53	1.24	1.28
23:30	222	ბელგრანო-ხიმნასია ლპ	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
23:45	223	ბოკა ხუნიორსი-ესტუდიანტესი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
22:30	224	კოლონი-გოდოი კრუზი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
22:30	225	ხიმნასია ჟ-ნუეკა ჩიკაგო	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93
23:45	226	კილმესი-ველეზი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
23:45	227	რასინგი-ლანუსი	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93
		ჩილე						
		2 სექტემბერი						
23:45	255	პიგინსი-უონდერერსი	1.50	3.70	5.30	1.06	1.16	2.17
23:45	257	უნ.კატოლიკა-კოკიმბო	1.35	4.10	7.00	1.01	1.13	2.58

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		3 სექტემბერი						
23:45	250	კობრელოა-პალესტინო	1.35	4.20	6.50	1.02	1.11	2.55
23:45	251	კობრესალი-უ.კონსტანტინი	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
23:45	252	კოლო კოლო-ჟერტო მონტი	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
23:45	253	ევერტონი-უნ.ესპანიოლა	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
23:45	254	სერენა-რეინჯერსი	1.50	3.70	5.30	1.06	1.16	2.17
20:00	256	მორნინგი-ანტოფაგასტა	2.55	3.30	2.30	1.43	1.20	1.35
23:45	258	აუდაქსი-უნ.ნიდე	2.90	3.30	2.10	1.54	1.21	1.28
		ეს 2008 შესარჩევი მატჩები						
		2 სექტემბერი						
21:00	259	ბელარუსი-ალბანეთი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
22:15	260	ჩეხეთი-უელსი	1.35	4.00	8.50	1.00	1.16	2.72
20:00	261	ინგლისი-ანდორა	1.01	10.00	50.00	1.00	1.00	8.33
22:30	262	ესტონეთი-ისრაელი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
22:45	263	გერმანია-ირლანდია	1.40	3.80	8.00	1.02	1.19	2.57
22:00	264	უნგრეთი-ნორვეგია	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
22:50	265	იტალია-ლიტვა	1.13	6.00	17.00	1.00	1.05	4.43
22:00	266	ლატვია-შვედეთი	4.40	3.30	1.75	1.88	1.25	1.14
22:30	267	ლუქსემბურგი-ჰოლანდია	40.00	10.00	1.02	8.00	1.00	1.00
21:15	268	მალტა-ბოსნია	9.00	4.20	1.30	2.86	1.13	1.00
22:15	269	მოლდოვა-საბერძნეთი	5.30	3.20	1.65	1.99	1.25	1.08
18:00	270	ჩრდ.ირლანდია-ისლანდია	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
22:30	271	პოლონეთი-ფინეთი	1.40	3.70	8.00	1.01	1.19	2.52
22:00	272	რუმინეთი-ბულგარეთი	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
18:00	273	შოტლანდია-ფარერები	1.08	6.50	20.00	1.00	1.02	4.90
22:15	274	სერბეთი-აზერბაიჯანი	1.10	6.00	17.00	1.00	1.03	4.43
22:15	275	სლოვაკეთი-კვიპროსი	1.30	4.50	9.00	1.00	1.13	3.00

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	276	ესპანეთი-ლიხტენშტაინი	1.01	9.00	35.00	1.00	1.00	7.15
		ეს 2007 შესარჩევი მატჩები(21)						
		2 სექტემბერი						
16:00	284	სომხეთი(21)-ნორვეგია(21)	4.70	3.40	1.65	1.97	1.22	1.71
18:00	285	უელსი(21)-თურქეთი(21)	3.50	3.20	1.90	1.67	1.23	1.19
20:00	286	კვიპროსი(21)-ჩეხეთი(21)	6.50	3.70	1.45	2.35	1.18	1.04
22:00	287	მაკედონია(21)-დანია(21)	4.30	3.40	1.65	1.89	1.19	1.11
		3 სექტემბერი						
20:00	288	ბულგარეთი(21)-ხორვატია(21)	2.25	3.10	2.80	1.30	1.24	1.47
20:00	289	ფინეთი(21)-რუსეთი(21)	4.80	3.50	1.55	2.02	1.17	1.07
		ამხანაგური მატჩები						
		2 სექტემბერი						
19:15	293	შვეიცარია-ვენესუელა	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
22:15	294	აუსტრია-კოსტა რიკა	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
		3 სექტემბერი						
19:00	295	ბრაზილია-არგენტინა	2.40	3.10	2.70	1.35	1.27	1.44
		აზიის თასი 2007 შესარჩევი მატჩები						
		2 სექტემბერი						
15:00	306	სამხრეთ კორეა-ირანი	1.70	3.20	4.70	1.11	1.24	1.90
		3 სექტემბერი						
21:30	307	ს.არაბეთი-იაპონია	2.50	3.00	2.60	1.36	1.27	1.39
		კალათბურთი მს 2006 (იაპონია)						
		2 სექტემბერი						
11:30	544	საფრანგეთი-თურქეთი	1.75	12.00	2.00	1.52	1.00	1.71
		3 სექტემბერი						
11:30	545	გერმანია-ლიტვა	1.80	12.00	1.80	1.56	1.00	1.56

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10259	ბელარუსი-ალბანეთი	2.00	2.10	5.00	1.02	1.42	1.47
10260	ჩეხეთი-უელსი	1.50	2.50	6.50	1.00	1.21	1.80
10262	ესტონეთი-ისრაელი	3.50	2.00	2.60	1.27	1.49	1.13
10263	გერმანია-ირლანდია	1.70	2.30	6.00	1.00	1.32	1.66
10264	უნგრეთი-ნორვეგია	2.90	2.00	3.20	1.18	1.52	1.23
10265	იტალია-ლიტვა	1.20	3.50	10.00	1.00	1.07	2.59
10266	ლატვია-შვედეთი	4.70	2.10	2.10	1.45	1.45	1.04
10267	ლუქსემბურგი-ჰოლანდია	35.00	6.00	1.03	5.12	1.00	1.00
10268	მალტა-ბოსნია	6.50	2.50	1.55	1.80	1.25	1.00
10269	მოლდოვა-საბერძნეთი	5.30	2.10	2.00	1.50	1.45	1.02
10270	ჩრდ.ირლანდია-ისლანდია	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10271	პოლონეთი-ფინეთი	1.70	2.30	6.00	1.00	1.32	1.66
10272	რუმინეთი-ბულგარეთი	2.20	2.00	4.50	1.04	1.47	1.38
10273	შოტლანდია-ფარერები	1.15	4.00	10.00	1.00	1.03	2.85
10275	სლოვაკეთი-კვიპროსი	1.50	2.60	6.50	1.00	1.21	1.85

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11259	ბელარუსი-ალბანეთი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11260	ჩეხეთი-უელსი	1.65	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11262	ესტონეთი-ისრაელი	4.40	10.00	20.00	5.30	4.40	4.40	20.00	10.00	3.30
11263	გერმანია-ირლანდია	1.75	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11264	უნგრეთი-ნორვეგია	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.84
11265	იტალია-ლიტვა	1.25	15.00	40.00	3.50	6.00	17.00	25.00	17.00	17.00
11266	ლატვია-შვედეთი	6.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11268	მალტა-ბოსნია	12.00	12.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.50
11269	მოლდოვა-საბერძნეთი	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11270	ჩრდ.ირლანდია-ისლანდია	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11271	პოლონეთი-ფინეთი	1.75	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11272	რუმინეთი-ბულგარეთი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11275	სლოვაკეთი-კვიპროსი	1.60	15.00	25.00	3.50	5.00	12.00	20.00	11.00	11.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		კი	არა
12259	ბელარუსი-ალბანეთი	1.70	1.90
12260	ჩეხეთი-უელსი	2.00	1.55
12261	ინგლისი-ანდორა	3.50	1.15
12262	ესტონეთი-ისრაელი	1.60	2.00
12263	გერმანია-ირლანდია	1.90	1.65
12264	უნგრეთი-ნორვეგია	1.70	1.90
12265	იტალია-ლიტვა	2.00	1.55
12266	ლატვია-შვედეთი	1.70	1.90
12267	ლუქსემბურგი-ჰოლანდია	3.50	1.15
12268	მალტა-ბოსნია	1.90	1.60
12269	მოლდოვა-საბერძნეთი	1.70	1.90
12270	ჩრდ.ირლანდია-ისლანდია	1.70	1.90
12271	პოლონეთი-ფინეთი	1.90	1.70
12272	რუმინეთი-ბულგარეთი	1.70	1.90
12273	შოტლანდია-ფარერები	2.20	1.45
12274	სერბეთი-აზერბაიჯანი	2.20	1.45
12275	სლოვაკეთი-კვიპროსი	2.10	1.55
12276	ესპანეთი-ლიხტენშტაინი	3.50	1.15

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13259	ბელარუსი-ალბანეთი	1.70	1.90
13260	ჩეხეთი-უელსი	2.00	1.60
13262	ესტონეთი-ისრაელი	1.70	1.90
13263	გერმანია-ირლანდია	1.90	1.70
13264	უნგრეთი-ნორვეგია	1.70	1.90
13265	იტალია-ლიტვა	2.30	1.45
13266	ლატვია-შვედეთი	1.70	1.90
13269	მოლდოვა-საბერძნეთი	1.70	1.90
13270	ჩრდ.ირლანდია-ისლანდია	1.70	1.90
13271	პოლონეთი-ფინეთი	1.90	1.70
13272	რუმინეთი-ბულგარეთი	1.70	1.90
13273	შოტლანდია-ფარერები	2.30	1.40
13274	სერბეთი-აზერბაიჯანი	2.30	1.40
13275	სლოვაკეთი-კვიპროსი	2.10	1.50

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსოონი ზაგვულად ჩაითვლება)

14259	ბელარუსი-ალბანეთი	1.30	2.50
14260	ჩეხეთი-უელსი	1.07	2.90
14262	ესტონეთი-ისრაელი	2.10	1.70
14263	გერმანია-ირლანდია	1.20	2.60
14264	უნგრეთი-ნორვეგია	1.80	1.80
14266	ლატვია-შვედეთი	2.40	1.40
14269	მოლდოვა-საბერძნეთი	2.40	1.40
14270	ჩრდ.ირლანდია-ისლანდია	1.70	2.10
14271	პოლონეთი-ფინეთი	1.20	2.60
14272	რუმინეთი-ბულგარეთი	1.60	2.30
14275	სლოვაკეთი-კვიპროსი	1.05	2.90

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15259	ბელარუსი-ალბანეთი	3.00	2.80	2.00
15260	ჩეხეთი-უელსი	3.00	2.80	2.00
15261	ინგლისი-ანდორა	3.00	2.80	2.00
15262	ესტონეთი-ისრაელი	3.00	2.80	2.00
15263	გერმანია-ირლანდია	3.00	2.80	2.00
15264	უნგრეთი-ნორვეგია	3.00	2.80	2.00
15265	იტალია-ლიტვა	3.00	2.80	2.00
15266	ლატვია-შვედეთი	3.00	2.80	2.00
15267	ლუქსემბურგი-ჰოლანდია	3.00	2.80	2.00
15268	მალტა-ბოსნია	3.00	2.80	2.00
15269	მოლდოვა-საბერძნეთი	3.00	2.80	2.00
15270	ჩრდ.ირლანდია-ისლანდია	3.00	2.80	2.00
15271	პოლონეთი-ფინეთი	3.00	2.80	2.00
15272	რუმინეთი-ბულგარეთი	3.00	2.80	2.00
15273	შოტლანდია-ფარერები	3.00	2.80	2.00
15274	სერბეთი-აზერბაიჯანი	3.00	2.80	2.00
15275	სლოვაკეთი-კვიპროსი	3.00	2.80	2.00
15276	ესპანეთი-ლიხტენშტაინი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16259	ბელარუსი-ალბანეთი	1.25	3.00
16260	ჩეხეთი-უელსი	1.08	5.00
16262	ესტონეთი-ისრაელი	2.10	1.55
16263	გერმანია-ირლანდია	1.12	4.00
16264	უნგრეთი-ნორვეგია	1.70	1.80
16266	ლატვია-შვედეთი	2.65	1.30
16268	მალტა-ბოსნია	4.60	1.10
16269	მოლდოვა-საბერძნეთი	2.90	1.25
16270	ჩრდ.ირლანდია-ისლანდია	1.50	2.20
16271	პოლონეთი-ფინეთი	1.12	4.00
16272	რუმინეთი-ბულგარეთი	1.30	2.70
16275	სლოვაკეთი-კვიპროსი	1.07	4.50

გოლი:ფსევლი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსევლად)

17259	ბელარუსი-ალბანეთი	1.85	1.95
17260	ჩეხეთი-უელსი	1.85	1.95
17261	ინგლისი-ანდორა	1.85	1.95
17262	ესტონეთი-ისრაელი	1.85	1.95
17263	გერმანია-ირლანდია	1.85	1.95
17264	უნგრეთი-ნორვეგია	1.85	1.95
17265	იტალია-ლიტვა	1.85	1.95
17266	ლატვია-შვედეთი	1.85	1.95
17267	ლუქსემბურგი-ჰოლანდია	1.85	1.95
17268	მალტა-ბოსნია	1.85	1.95
17269	მოლდოვა-საბერძნეთი	1.85	1.95
17270	ჩრდ.ირლანდია-ისლანდია	1.85	1.95
17271	პოლონეთი-ფინეთი	1.85	1.95
17272	რუმინეთი-ბულგარეთი	1.85	1.95
17273	შოტლანდია-ფარერები	1.85	1.95
17274	სერბეთი-აზერბაიჯანი	1.85	1.95
17275	სლოვაკეთი-კვიპროსი	1.85	1.95
17276	ესპანეთი-ლიხტენშტაინი	1.85	1.95

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტატპი. B დივიზიონი

თბილისი. 3 სექტემბერი. სპორტის სასახლე. 19.00

საქართველო vs ლუქსემბურგი

ტაირონ ელისი	გამთამაშებელი	194	უგუნდოდ
გიორგი ცინცაძე	გამთამაშებელი	193	როკი, ესტონეთი
ლაშა გამყრელიძე	გამთამაშებელი	183	უგუნდოდ
კოტე ტულუში	გამთამაშებელი	190	უგუნდოდ
ანატოლი ბოისა	მსროლელი	190	უგუნდოდ
გიორგი მარკოიშვილი	მსროლელი	194	ოლიმპია, სლოვენია
ვიქტორ სანიკიძე	ფორვარდი	202	ესტუდიანტესი, ესპანეთი
ნიკოლოზ ცქიტიშვილი	ფორვარდი	214	სიეტლი, აშშ
ვლადიმერ ბოისა	ფორვარდი	206	სიენა, იტალია
ვახტანგ ნაცვლიშვი	ფორვარდი	206	დიჟონი, საფრანგეთი
ზაზა ფაჩულია	ცენტრი	211	ატლანტა, აშშ
დავით უგრეხელიძე	ცენტრი	208	უგუნდოდ
გიორგი შერმადინი	ცენტრი	215	მაკაბი, საქართველო

ტომ შუმახერი	გამთამაშებელი	188	დუდელანჟი, ლუქსემბურგი
კრისტიან შარცი	გამთამაშებელი	184	ეტელბრუკი, ლუქსემბურგი
კრისტიან ვულფი	გამთამაშებელი	181	სპარტა, ლუქსემბურგი
ლენსონ დელგადო	გამთამაშებელი	185	ეტელბრუკი, ლუქსემბურგი
პიერ ბოევერი	ცენტრი	202	მესი, ლუქსემბურგი
მანუ შოლტუსი	ფორვარდი	194	ჰეფინგენი, ლუქსემბურგი
ტომ შმიტი	ცენტრი	202	კონტერნი, ლუქსემბურგი
ლიუკ ლოში	ფორვარდი	197	სოლუვრი, ლუქსემბურგი
ივეს ბრაუნი	ფორვარდი	193	მუსელი, ლუქსემბურგი
მარტინ რანიაკი	ფორვარდი	205	კახაროხა, ესპანეთი
პეტერ რანიაკი	ფორვარდი	196	ბაპტისტ უნივერსიტეტი, აშშ
პიტ ჰოფმანი	ფორვარდი	200	სპარტა, ლუქსემბურგი

ჩვენ ერთი გუნდი ვართ?

ნაკრები ნაკლებია





ამერიკელი დოლენგაბგელის ფოტოები

„დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები ფინეთთან მატჩით საკვალიფიკაციო ეტაპს იწყებს, რომელსაც ჩვენი ეროვნული გუნდისთვის ყოფნა-არყოფნის მნიშვნელობა აქვს“ — ეს გახლავთ იმ სტატიის ფრაგმენტი, რომელიც ზუსტად 2 წლის წინანდელ “სარბიელიში“ გამოქვეყნდა. როგორც ხედავთ, ის ეტაპი არ აღმოჩნდა ყოფნა-არყოფნის, პირიქით, ქართველები განახლებული გუნდითა და მოჭარბებული ამბიციით ხვდებიან ანალოგიურ ტურნირს, რაც ძალიან კარგია, მაგრამ იმ სიტუაციით კმაყოფილი ვერ ვიქნებით, რომელიც დღესაა ნაკრებში შექმნილი.

საერთოდ, ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირების წინ ქომაგს აინტერესებს, თუ რა ვითარებაა გუნდში. კეთილმოსურნეთა ინტერესი რომ დააკმაყოფილო, ორჯერ ორივითაა, პრესკონფერენცია უნდა გამართო და მედიის საშუალებით გულშემატკივარს გუნდში არსებული ვითარება შეატყობინო. საქართველოს კალათბურთის ფედერაციას არასდროს ეზარებოდა ამის გაკეთება: ახალგაზრდული და კადეტთა ნაკრებები ევროპიდან ალაფით რომ ბრუნდებოდნენ, მეორე დღესვე ჟურნალისტებს ხვდებოდნენ, მაგრამ ამჯერად საქმე ეროვნულ გუნდს ეხება და ევროშეკრების მერე ვინ ჩივის, ლუქსემბურგთან თამაშის წინ არ იმართება პრესკონფერენცია.

საქართველოს ეროვნული გუნდი უნგრეთრუმინული შეკრებიდან 28 აგვისტოს დაბრუნდა, სადაც მთლიანობაში 7 მატჩი გამართა, ხოლო ხვალ ევროსაკვალიფიკაციო ტურნირში ებმება და როდის უნდა სურდეს ჟურნალისტს ნაკრების ხელმძღვანელობასთან გასაუბრება, თუ არა ახლა?!

საერთოდ, ლუქსემბურგი ისეთი ბეჩავი გუნდია, რომლის ძლევასაც არათუ პრესკონფერენციის გამართვა, მგონი, მწვრთნელი საერთოდ არ სჭირდება.

მწვრთნელიო? რა დღეა დღეს? პარასკევი. შაბათი, კვირა...

ლუქსემბურგთან მატჩიც მოგვადგა და გორდონ ჰერბერტი ჯერაც არ არის თბილისში ჩამოსული. ის საქართველოს ნაკრებს 20 აგვისტოს უნგრეთში რომ დაშორდა, მას მერე საფრანგეთშია და სავარაუდოდ თავის ახალ გუნდ „პო ორტეზს“ ავარჯიშებს. კი, ერთი გუნდი ვართ, ჰერბერტმა პატივი დაგვდო და ევროგრანდში გადასვლის მიუხედავად მაინც ჩვენს ნაკრებს ავარჯიშებს, მაგრამ საკვალიფიკაციო მაინც უჰერბერტოდ მოგვადგა.

საერთოდ, ჰერბერტი შარშანდელ წარუმატებლობას საკუთარ თავზე იღებდა, მაგრამ ამავდროულად ხშირად იმეორებდა, შემონდ უილიამსი ფინეთთან მატჩამდე 2 დღით ადრე შემოგვიერთდაო, ასე რომ არ მომხდარიყო, დიდი შანსია, მოგვეგოო. ლუქსემბურგი ფინეთი არაა, მაგრამ რახან ერთი გუნდი გქვია და მთავარი მწვრთნელი ხარ, რაგინდ ძლიერი თანაშემწეები გყავდეს, 28 დღიან საერთო საქმეს 20 დღით არ უნდა გამოაკლდე — ნაკრები 5 აგვისტოს შეიკრიბა და ლუქსემბურგთან მატჩამდე მოსამზადებლად 28 დღე ჰქონდა. ჰერბერტი კი ჯერ თავიდან გამოაკლდა ერთი კვირით ნაკრებს და ახლა მთელი ორი კვირა არ ჩანს.

ეროვნული გუნდი უნგრეთიდან რომ დაბრუნდა, ფედერაციის ჩინოვნიკებს ხმა მივაწვდინეთ, პრესკონფერენციას როდის მართავთო. როცა გავმართავთ, შეგატყობინებთო, იყო პასუხი, რომელსაც ქმედება არ მოჰყოლია.

ნაკრების შესახებ ამომწურავ და კომპეტენტურ ინფორმაციას მთავარი მწვრთნელი იძლევა და ჩვენი ნაკრების შემთხვევაში ეს ფიზიკურად ვერ მოხერხდებოდა — ჰერბერტი გუნდს არ ჩამოჰყოლია.

თამაშამდე ორიოდ დღით ადრე ჟურნალისტებთან უმთავარმწვრთნელოდ შეხვედრა კი საერთოდ წარმოუდგენელი ამბავია. ისე, ჰერბერტი რომც ყოფილიყო თბილისში, პრესკონფერენციას მაინც არ ექნებოდა ეფექტი, რადგან პარადოქსული ვითარება შეიქმნებოდა: თავკაცი აქაა და ვერ ლაპარაკობს ნაკრების უმნიშვნელოვანეს რუმინულ შეკრებაზე, რადგან იქ არ ყოფილა.

ისე გამომდის, თითქოს ყველაფერი პრესკონფერენცია ყოფილა და სხვას არაფერს ჰ ქონია აზრი. პრესკონფერენცია კი არაა მთავარი, არამედ ის მიზეზი, რატომაც ის არ იმართება. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ყველა ფეხბურთელი თბილისში ყოფილიყო და ტოპმიოლერი დღეს ჩამოსულიყო — ევროშესარჩევი ციკლის დაწყებამდე 1 დღით ადრე. ანდაც უარი: ტოპი რომ არ გაჰყოლოდა ჩვენს საფეხბურთო ნაკრებს ავსტრო-გერმანულ შეკრებაზე და არ გაძღოლოდა ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩებს. მაშინ ატყდებოდა, თუ ატყდებოდა...

ძალიან გვინდა, გავიგოთ, თუ რას ფიქრობს კარსმომდგარი მატჩების წინ ჩვენი საკალათბურთო ნაკრების ასისტენტ მწვრთნელთა დუეტი — კენი ატკინსონი და დავით უსტიაშვილი — მაგრამ... სწორედაც რომ დუეტი, რადგან ესენი იყვნენ, ნაკრებს ერთი დღეც რომ არ მოშორებიან. ჰერბერტის მესამე (თუ პირველი) ასისტენტი კენ შილდსი სულაც 3 დღის წინ ჩამოვიდა საქართველოში.

ისე კი გუნდში კარგი სიტუაციაა. ყველა ლეგიონერი ჩამოვიდა და ნიკა ცქიტიშვილის უმნიშვნელო გაცივებას თუ არ ჩავთვლით, ნაკრების წევრები ჯანზე არიან. ნაკრებში დაბრუნებულმა მოთამაშეებმა და ამერიკელმა ახალწვეულმა თავი კარგად წარმოაჩინეს. მანუჩარ მარკოიშვილი აღმოსავლეთევროპულ შეკრებაზე საერთოდ ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ვიქტორ სანიკიძესაც ჰქონდა ძალიან კარგი მატჩები, ვახტანგ ნაცვლიშვილი კი მიუხედავად მუხლის ქრონიკული ტკივილისა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნაკრებს რამდენიმე მატჩში მნიშვნელოვნად დაეხმარება.

შესანიშნავი ყოფილა ტაირონ ელისი, რომელსაც შემონდ უილიამსზე კარგად სცოდნია სამქულიანების ჩაგდება და სწრაფიც ყოფილა, მაგრამ წინამორბედის დარი კლასით ვერ დაიკვეხნის. თუმც ამერიკელის კლასი არ გვჭირდებაო, თქვა ჩვენი ნაკრების კაპიტანმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა: გუნდში არაერთი მოთამაშეა, რომელსაც ლიდერობა შეუძლია და ამერიკელი ბურთის გასათამაშებლად გვჭირდება, რაც მას ძალიან კარგად გამოსდისო.

ლუქსემბურგზე კი რა გითხრათ, უეჭველად გავიმარჯვებთ და საფიქრალი უფრო მომდევნო მატჩებია: 6 აგვისტოს ავსტრიაში და 13-ში — ფინეთში.

და მოდით, ეს წერილი ისე დავამთავროთ, როგორც დღეს და 2 წლის წინ დავიწყეთ: ხვალინდელი მატჩით საქართველოს ნაკრები იწყებს ყოფნა-არყოფნის საკვალიფიკაციო ეტაპს...



AFP საიტებიდან

მათ არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ!

თეოდოროს პაპალუკასმა ლებრონ ჯეიმსი და მისიანები ზედმეტი ლაპარაკისა და თავდაჯერებისთვის სასტიკად დასაჯა

1 სექტემბერი. საიტამა

საბერძნეთი 101:95 აშშ

14:20 31:21 32:24 24:30

საბერძნეთი: პაპალუკასი (8 ქულა, 12 პასი), დიამანტიდისი (12), სპანულისი (22), კაკიუზისი (15), პაპადოპულოსი (8); შორციანიტისი (14), ფოცისი (9), დიკუდისი (8), ცარცარისი (3), ჰაძივრეტასი

აშშ: ჰაინრიხი (12), ვეიდი (19), ჯეიმსი (17), ენტონი (27), ბრენდი; ჰოვარდი (10), ჯონსონი (3), პოლი (3), ბოში (3), ბეტიე (1)

მეორე მეოთხედის დაწყებიდან 2-3 წუთია გასული, საკუთარ თავში დარწმუნებული ამერიკელები 33:21 იგებენ და ბერძენთა თავკაცი პანაიოტის იანაკისი წუთშესვენებას იღებს. გამწარებული უხსნის შეგირდებს რაღაცას, ესენი სახეზე ნაკვთის შეუტოკებლად უსმენდნენ და უყურებდნენ.

ამერიკელთა სკამი — სულ ახლახან სამქულიანის ჩამგდებ ჯო ჯონსონს ლებრონ ჯეიმსი ეუბნება: „ისინი აზრზე არ არიან, რას აკეთებენ“ და სხვებიც თვითკმაყოფილი და მომღიმარი სახით უქნევენ თავებს. ამ 13-ოდ წუთში მათ უკვე იმდენი ბურთის ჩატენვა მოასწრეს, ალბათ ფიქრობენ, რომ როცა მოინდომებენ, მაშინ წალეკავენ საბერძნეთს. რომ უყურებ, ხვდები, დაახლოებით რა განწყობით მიდიან მესოპოტამიის უდაბნოში ამერიკელი ჯარისკაცები. ლებრონ ჯეიმსს თავი იქნებ სითბური, თვითდამიზნებადი რაკეტებით აღჭურვილი F-18 ჰგონია, როცა მოინდომებს, მაშინ აფრინდება სამქულიან ხაზს იქიდან და გამანადგურებელი ძალით დააცხრება მოწინააღმდეგეთა კალათს! ეგონოს...

ლებრონთან ბოდიში და ბერძნებმა ნამდვილად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. წუთშესვენების შემდეგ მათ ზედიზად 9 ქულა მოიკალათეს. თეოდოროს პაპალუკასის სამქულიანის შემდეგ სხვაობა 3 ქულამდე მცირდება და ამერიკელთა თავკაცი მაიკ კრჟიჟევსკი წუთშესვენების აუცილებლობის წინაშე დგება. თითქოს ყველაფერი მაინც კარგადაა მისი გუნდისთვის, დუაიტ ჰოვარდი ერთ შეტევაში 3 ქულას იხვეჭს და ნბა-ელები 6 ქულით გადიან წინ, მაგრამ აქ მათ ისეთი კაცი ევლინებათ რისხვად, ნბა-ს ნებისმიერი გუნდში სათადარიგო მოთამაშედ ჩაწერაზე ცეკვას რომ დაიწყებდა. ნატურალიზებული კამერუნელი სოფოკლის შორციანიტისი საბერძნეთის ნაკრებშიც სათადარიგოა, ძირითად ცენტრ ლაზაროს პაპადოპულოსს უკვე 3 პერსონალური აქვს და იანაკისმაც ამიტომ შემოიყვანა შავი „ბერძენი“ მოედანზე. ეს კი დახეთ, რაებს აკეთებს! მთელს ამერიკულ დაცვას სულის შებერვით ხუხულასავით ანგრევს და ზედიზედ ოთხ, თან სულ სხვადასხვაგვარ ბურთს აგდებს. დაცვაში ჩაფლავებული და გამეხებული ამერიკელები შეტევაშიც უაზროდ სცოდავენ, სროლის ორგანიზებას ქაოტურად ცდილობენ და შედეგად... 3:12 აგებენ რამდენიმეწუთიან მონაკვეთს (ამ 13 ქულიდან 8 შორციანტისის ყულაბაშია). კრჟიჟევსკი მეორე ტაიმაუტს იღებს და მატჩის სადავეების დაბრუნებას ცდილობს, თანაც ეს ხომ მხოლოდ პირველი ტაიმია?

ამერიკელები მოედანზე ისეთი განწყობით მიდი-მოდიან — „მერე რა მოხდა?!“

მერე კი ის მოხდა, რომ ბერძნებმა მესამე მეოთხედში სულ მიანგრ-მოანგრიეს მათი დაცვა. თეო პაპალუკასი გონივრულად ათამაშებს ბურთს, პასს არავის უგვიანებს და მისი თანაგუნდელებიდან ვიღაცა ყოველთვისაა სულ მარტოდმარტო პერიმეტრზე. სპანულისი, ფოცისი, ცარცარისი, დიამანტიდისი... თითო სამქულიანი ყველას მოეძევება აბგაში და ყველა ამერიკელთა კალათში ცვივა. ნბა-ს თავგზააბნეულმა მეგავარსკვლავებმა უკვე აღარც იციან, ვის სდიონ. ისინი ალბათ მათ გვარებსაც ვერ დაიხსომებენ, ვისაც იმ შავ დღეს ხვდებოდნენ. მესამე მეოთხედის მეხუთე წუთზე ცარცარისიც რომ აგდებს თავის წილ სამიანს, საბერძნეთი უკვე 14 ქულითაა წინ — 65:51. აი, რა მოხდა!

გგონიათ, ამის შემდეგ დაიბნენ ბერძნები? ნურას უკაცრავად. ისინი ყოველგვარი ეიფორიის გარეშე აგრძელებენ თავიანთ საქმეს, ყველაფერს კოხტად, ევროპულად აკეთებენ, ამერიკულ პომპეზურობას გასაქანს არ აძლევენ. კიდევ ერთხელ, ბოდიში ლებრონ ჯეიმსს და ბერძნებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. საბერძნეთის ნაკრები ის გუნდია, თამაშში 67 ქულას რომ აგდებს და ასე იგებს, ახლა კი ამერიკელებმა მათ შეტევის უფლება მისცეს და რატომ არ გამოიყენებდნენ? მატჩის საუკეთესო მოთამაშე თეო პაპალუკასი განგრძობდა ამერიკული ცათამბჯენისთვის საყრდენი ტურების თითო-თითოდ გამოცლას. დროც მიდიოდა.

ამერიკელები თითქოს თანდათან გონს მოეგნენ, მთელი ყურადღება დაძაბეს და დეფიციტის ამოვსება დაიწყეს. კირკ ჰაინრიხი თავის მეოთხე სამქულიანს აგდებს და სხვაობა 4 ქულამდე მცირდება, მაგრამ ტაბლოსაც შევხედოთ — 36 წამიღა რჩება! რამდენიმე შეტევა, რამდენიმე ტაიმაუტი, ლებრონი შეიჭრა, რა თქმა უნდა, ჩატენა და... ამერიკამაც წააგო. იმ ამერიკამაც კი წააგო, რომელმაც ამ ჩემპიონატისთვის გამარჯვებას მოწყურებული უნიჭიერესი ბიჭები შეარჩია, დიდხანს ამზადა და იაპონიაში მხოლოდ ოქროზე დაგეშილი ჩავიდა.

ახლა ამერიკა ბრინჯაოსთვის შეხვდება არგენტინას, მსოფლიო ოქროსთვის ბრძოლას კი ევროპის ჩემპიონი ბერძნები განაგრძობენ.

ირაკლი ფირაზვილი

ესპანეთის არგენტინა ეტკინა

AFP საიტებიდან

ესპანელმა პაუ გასოლმა ლომივით იბრძოლა, მაგრამ დაიმტვრა

1 სექტემბერი. საიტამა

ესპანეთი 75:74 არგენტინა

15:21 25:17 20:18 15:18

ესპანეთი: კალდერონი (7), ნავარო (4), ხიმენესი (4), გარბახოსა (19), პ. გასოლი (19 ქულა, 11 მოხსნა); ს. როდრიგესი (14), ფერნანდესი (4), კაბეზასი (2), რეიესი (2), ბ. როდრიგესი, მუმბრუ

არგენტინა: სანჩესი (13), ჯინობილი (21), ნოჩიონი (15), სკოლა (8), ობერტო (2); ჰერმანი (8), ვოლკოვისკი (6), დელფინო (3), პრიჯიონი

„ბიძაშვილთა“ ჯახი სულაც არ ჩამოუვარდებოდა პირველ ნახევარფინალურ შეხვედრას, დაძაბულობით იქნებ სჯობდა კიდეც. ესპანელებმა აისრულეს საწადელი, უდრამატულეს ბრძოლაში ოლიმპიურ ჩემპიონ არგენტინელებზე გავლით მოიპოვეს ფინალის საგზური და პირველად მიადგნენ საჩემპიონო საფეხურს. მაგრამ ანტიკური პიროსივით ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება, ბოლო წუთებზე საუკეთესო მოთამაშე პაუ გასოლი დაემტვრათ.

„ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ, მაგრამ მას სიმწარეც ახლავს. ყველანი ძრწოლვით ველით ხვალინდელ დღეს და პაუს დიაგნოზს“ — ამბობდა ნამატჩევს ესპანელთა ერთ-ერთი ლიდერი ხოსე კალდერონი.

ესპანელებმა ამ ზაფხულს უკვე ორჯერ მოასწრეს ოლიმპიურ ჩემპიონთა ძლევა, მაგრამ ახლა არგენტინელებმა მათ პირველი წუთებიდანვე აგრძნობინეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრა ბევრით განსხვავდება სპარინგ-მატჩებისგან. თავიდანვე აგრესიულად მიეძალნენ და პირველ მეოთხედში 11 ქულით გაიჭრნენ წინ, მაგრამ არგენტინელებმა ვერ მოახერხეს, ბოლომდე დაეთრგუნათ საოცრად შემართული ესპანელები, რომლებსაც, ვინ იცის, არსებობის მანძილზე უძლიერესი გუნდი ჰყავთ. ევროპელებმა დროულად განიფანტეს თვალებიდან ნისლი, დაცვას მოუჭირეს და შეტევაშიც უფრო გონივრულად ათამაშდნენ.

არგენტინელ დაცვაში ჩაკარგულ ძირითად უკანახაზელებს, ნავაროსა და კალდერონს საკმაოდ კარგად ცვლიდნენ რუდი ფერნანდესი და სერხიო როდრიგესი და ესპანეთმა უკვე მეორე მეოთხედში გააბათილა სხვაობა, დიდ შესვენებამდე ორი ქულითაც დაწინაურდა და მეორე ტაიმშიც აღარ გაუშვა ხელიდან უპირატესობა.

მესამე მეოთხედში პაუ გასოლის ჩატენვის შემდეგ ესპანეთი 65:56 დაწინაურდა. არგენტინამ „ბიძაშვილებს“ ჰეპე სანჩესისა და ანდრეას ნოჩიონის 3-3 ქულით უპასუხა. სამხრეთამერიკელებს ძირითადად ეს ორნი და კიდევ ერთი უკანახაზელი მანუ ჯინობილი მიათრევდნენ, რომლებიც აშკარად ჯაბნიდნენ ოპონენტებს, მაგრამ სამაგიეროდ ესპანელები (გასოლი, გარბახოსა) ფარზე მძლავრობდნენ და ბოლო წუთებამდე ისე მივიდნენ, მეტოქე 2 ქულაზე ახლოს არ მიუშვეს.

მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ესპანელებს თავზარი დაეცათ — ფაბრიციო ობერტოსთან შეჯახების შემდეგ დაიმტვრა გასოლი! პაუმ ორი საჯარიმო მაინც ჩააგდო, უმცროსი ძმის მარკის დახმარებით დატოვა მოედანი და თანაგუნდელებს 6-ქულიანი უპირატესობა დაუტოვა. არგენტინა რის არგენტინა იქნებოდა, ამით არ ესარგებლა, მალე სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა და საფინალო სირენამდე ნახევარი წუთით ადრე ლუის სკოლას წყვილი საჯარიმოებით 74:74 გაათანაბრა.

სამხრეთამერიკელები მალევე დაჯარიმდნენ კალდერონზე, რომელიც იმ დღეს ძალზე ცუდად ისროდა და ახლაც მხოლოდ ერთი ჩააგდო, მაგრამ სწორედ ამ ერთქულიანმა მოუტანა ესპანეთს პირველი მსოფლიო ფინალის საგზური. დარჩენილ 20-ოდ წამში არგენტინელებმა თითქმის ბოლომდე ათამაშეს ბურთი, ნოჩიონიმ სამიანი ესროლა და... გარბახოსამ მოხსნა ეს აცილებული.

ევროპული გამოვიდა მსოფლიო ფინალი — აქეთ საბერძნეთი, იქით ესპანეთი, ორივე გადასარევი, კარგად ორგანიზებული და დიდ გამარჯვებებს მოშიებული გუნდი.

სანუგეშო ბრინჯაოსთვის კი სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკელები იბრძოდნენ. ორივე ოქროსთვის ჩავიდა ამომავალი მზის ქვეყანაში, მაგრამ ჩანს, მათ სხვებზე მეტად არ სწყუროდათ ეს ოქრო.

კოტე ყორშია

მე-5-8 ადგილებისთვის

საფრანგეთი 75:73 გერმანია

17:16 21:15 15:26 22:16

თურქეთი 95:94 ლიტვა

19:10 4:17 17:21 35:27 20:9

US OPEN 2006 **ამერიკის ღია ჩემპიონატი 2006. ჰარდი. საპრიზო 14 769 000 $** US OPEN 2006

მარკოსსა სძლია ანდრემან

ბოლოს ბალდატური აგასიმ შეასრულა



AFP ნიუ იორკიდან

თრილერი, ორთაბრძოლები, ემოციები, ცრემლები, დიდი სიხარული, „კეთილისა“ და „ბოროტის“ ბრძოლა სცენარში მრავალი მოულოდნელი ცვლილებით, ძალების ბოლომდე დახარჯვა და ფინალი, რომელმაც მაყურებლის უმეტესობა დააკმაყოფილა. არ გეგონოთ, რომ რომელიმე ჰოლივუდური ჰიტის შინაარსს გიყვებოდეთ — ყველაფერი ეს გუშინ გამთენიისას ნიუ იორკში, არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე იხილა 23 000 ათასმა მაყურებელმა. აღნიშნული მოვლენები კი ანდრე აგასისა და მარკოს ბალდატისის თამაშის პერიპეტიები გახლდათ.

შეხვედრა მართლაც რომ ეპიკური გამოვიდა და საბოლოოდ ყველა მოლოდინისა თუ კანონის საწინააღმდეგოდ მაინც ამერიკელი ვეტერანის გამარჯვებით დამთავრდა. ეს თამაში ყველა მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება, მნიშვნელობა არ აქვს, უშუალოდ კორტზე უცქირა თუ ტელევიზორის ეკრანთან.

არადა, ორი სეტი ისე მიილია, ასეთი ჯახის ნახვას ვერავინ წარმოიდგენდა. აგასიმ წმინდად კლასით მოუგო საწყისი პარტიები მეტოქეს და თითქოს მესამეშიც დიდ უპირატესობას ფლობდა. ისედაც ყველა ამას ამბობდა — ანდრე სამ სეტში თუ მოიგებდა, თორემ თამაშის გაწელვასთან ერთად გაცილებით ახალგაზრდა ბალდატისი უბრალოდ დაღლიდა 36 წლის ვეტერანს.

თუმც მესამე სეტში კვიპროსელი გამოცოცხლდა და იმას აკეთებდა, რაც ვალდებული იყო მანამდეც გაეკეთებინა — ბალდატისმა ბურთის სისტემატიური დამოკლება დაიწყო, რითაც აგასის ერთიორად ბევრს არბენინებდა. ამას ამერიკელმა ვერ გაუძლო და სეტებში ანგარიში 2:1 გახდა.

დაიწყო მეოთხე და... მაყურებელი თვალს არ უჯერებდა. თუმც ეს უმეტესობისთვის სასიმოვნო მოულოდნელობა გახლდათ. დაღლილი აგასის მაგივრად კვლავაც ძველი, ენერგიული ანდრე ვიხილეთ, რომელიც თავისებურად უშანსოდ ტოვებდა მეტოქეს. მალე ანგარიში 4:0 გახდა ამერიკელის სასარგებლოდ და თითქოს ყველაფერი აქ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ არა ბალდატისისთვის, რომელიც აქედანაც გამოძვრა და სეტის მოგებით ანგარიშიც გაათანაბრა.

გადამწყვეტ პარტიაში ჩოგბურთელები დიდხანს თანაბრად ჭიდაობდნენ — აგასი გაჭირვებით ინარჩუნებდა თავის მოწოდებას. ბალტადისი ცოტა უკეთ კი გამოიყურებოდა, მაგრამ ბრეიკს მაინც ვერ აკეთებდა. განგებაც კი ჩაერია — სეტის მიწურულს კვიპროსელს ფეხის კუნთი დაეჭიმა და ისე ცუდად იყო, რომ დგომასაც ძლივს ახერხებდა. თან არც ექიმის გამოძახება შეეძლო, რადგანაც სანიტარული ტაიმ-აუტი უკვე გამოეყენებინა.

ბალდატისმა თამაში კი გაგრძელა, მაგრამ სირბილის თავი აღარ ჰქონდა, რაც აგასიმ გამოიყენა და მესამე წრეში გასვლა მოახერხა. მოკლედ, ყველაფერი მაინც ჟანრის კანონის თანახმად დამთავრდა —. ჰოლივუდის კანონებით ხომ „კეთილს“ უნდა მოეგო. გამარჯვებას ორივე იმსახურებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში „კეთილის“ როლში მაინც ჩოგბურთიდან მიმავალი, 36 წლის ვეტერანი აგასი იყო და ალბათ ამიტომაც სწორედ მან იმარჯვა.

სხვა მხრივ კი ასპარეზობის კაცთა ნახევარში კორტებზე მოულოდნელი ან კიდევ საინტერესო არაფერი მომხდარა. ერთი ეგ იყო, რომ რაფაელ ნადალი პირველ წრესთან შედარებით საკმაოდ უფერული იყო, მაგრამ ლუის ჰორნას მაინც გასცდა.

აი, ქალებში კი კარგა გემრიელი მოულოდნელობა ვიხილეთ — ამერიკას მარტინა ჰინგისი ემშვიდობება. შვეიცარიელმა ვირჟინი რაზანოს ვერაფერი მოუხერხა და ფრანგს პირწმინდად დაუთმო მესამე წრის საგზური. ისე, მარტინა პირველ თამაშშიც საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდა, გუშინ კი ნათლად გამოჩნდა, რომ ალპელი გოგო მართლაც ცუდ ფორმაში შეხვდა აშშ-ს ღია პირველობას და ახლა მთავარ საზრუნავად წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვდერაღა დარჩენია.

ამერიკელთა გულის გასახეთქად დანიელა ჰანტუხოვამ სერენა უილიმსთან ისევე დაიწყო, როგორც რვა თვის წინ მელბურნის კორტებზე. თავიდან სლოვაკმა უბრალოდ, შეჭამა შავ-შავი ამერიკელი, თუმც ევროპელის ამ განწყობამ დიდხანს ვერ გაძლო და სერენას 2:5-დან სეტიც კი ამოაქაჩინა. მერე კი უმცროსმა უილიამსმა ნათლად დაანახვა სლოვაკს, როგორი მადაა საჭირო სლემტურნირზე რაიმე ღირებულის მისაღწევად.

დანარჩენმა ფავორიტებმა კი სულ ნარ-ნარად შეაბიჯეს მესამე წრეში. განსაკუთრებით ლინდსი დევენპორტი და მარია შარაპოვა გამოირჩნენ — რუსმა მხოლოდ ერთი გეიმი დათმო, ამერიკელმა კი საერთოდ ნულზე გაყინა ელენა კოსტანიჩი.

ძახა ლოგაუზვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ტანვარჯიშის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, წლების მანძილზე სეოკ-ის აღმასკომის წევრის, ტანვარჯიშში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის

ანზორ ღონღაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

კაცები

მეორე წრე

ანდრე აგასი (აშშ) — მარკოს ბალდატისი (8, კვიპროსი) 6:4 6:4 3:6 5:7 7:5; **ბენჯამინ ბეკერი** (გერმანია) — სებასტიან გროჟანი (30, საფრანგეთი) 7:6 6:1 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (22, ესპანეთი) — ტიაგო ალვეში (ბრაზილია) 7:6 6:4 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი** (15, ავსტრალია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:4 6:2 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (20, სერბეთი) — მარდი ფიში (აშშ) 7:6 6:4 3:6 7:6; **რიშარ გასკე** (25, საფრანგეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:0 6:2 6:3; **მარკო ჩიუდინელი** (შვეიცარია) — ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) 3:6 6:3 4:6 6:4 6:3; **ტომი რობრედო** (6, ესპანეთი) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 3:6 6:3 6:4 6:1; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:7 2:6 7:6 6:0 6:1; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 5:7 6:7 6:4 6:3 6:0; **დავიდ ფერერი** (11, ესპანეთი) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:2 6:4 6:1; **ძსავიე მალისი** (ბელგია) — ბიორნ ფო (გერმანია) 6:3 6:0 6:2; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — პარადონ შრიჩაპანი (ტაილანდი) 7:6 3:6 6:4 6:4; **ვესლი მუდი** (სამხრეთ აფრიკა) — გაელ მონფილზი (27, საფრანგეთი) 6:4 2:6 6:2 7:6; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ლუის ჰორნა (პერუ) 6:4 4:6 6:4 6:2

ქალები

მეორე წრე

ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:4 6:3; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:3 6:1; **სერენა უილიამსი** (აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (17, სლოვაკეთი) 7:5 6:3; **ანა ივანოვიჩი** (16, სერბეთი) — მელინდა ჭინკი (უნგრეთი) 7:5 6:3; **დინარა საფინა** (12, რუსეთი) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 6:3 6:4; **იარმილა გაიდოშოვა** (სლოვაკეთი) — ვიქტორია კუტუზოვა (უკრაინა) 6:3 7:6; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — იულია ფედოსოვა (უკრაინა) 6:4 4:6 7:5; **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) — მარტინა ჰინგისი (8, შვეიცარია) 6:2 6:4; **მარია შარაპოვა** (3, რუსეთი) — ემილი ლოიტი (საფრანგეთი) 6:0 6:1; **ელენა ლიხოვცევა** (32, რუსეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3 6:2; **ნა ლი** (24, ჩინეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:0 1:6 6:4; **მარი პირსი** (13, საფრანგეთი) — ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) 6:3 6:4; **ვიქტორია აზარენკა** (ბელორუსია) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:3 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (23, რუსეთი) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 7:6 6:0; **ტატიანა გოლოვინი** (27, საფრანგეთი) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 6:4 6:3; **ნადია პეტროვა** (5, რუსეთი) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:1 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (6, რუსეთი) — ლორენ ალბანეზე (აშშ) 6:1 6:1; **ანასტასია როდიონოვა** (რუსეთი) — ჟი ჟენგი (25, ჩინეთი) 7:5 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (19, სერბეთი) — კრისტენ ფლიპკენსი (ბელგია) 6:2 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (9, ჩეხეთი) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:2 3:6 6:3; **არავან რეზაი** (საფრანგეთი) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 7:6 2:6 6:4; **მარია კირილენკო** (20, რუსეთი) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) 6:2 6:3; **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3 7:5; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ემა ლეინი (ფინეთი) 6:4 6:0; **პატი შნიდერი** (7, შვეიცარია) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 6:3 7:5; **მარიონ ბარტოლი** (26, საფრანგეთი) — ვარვარა ლეპშენკო (უზბეკეთი) 6:1 6:2; **კატარინა სრებოტნიკი** (22, სლოვენია) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:2 4:6 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (10, აშშ) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:0 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე** (14, იტალია) — სანია მირზა (ინდოეთი) 5:7 6:1 6:2; **შაჰარ პირი** (21, ისრაელი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1 5:7 6:2; **აი სუგიამა** (28, იაპონია) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:7 6:4 6:2; **შუსტინ ელენ-არდენი** (2, ბელგია) — ვანია კინგი (აშშ) 6:1 6:2

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

UNDER-21 Championship

მესარჩევი მატჩი

II ჯგუფი
II ტური
ალბანეთი 0:3 ესპანეთი
IV ჯგუფი
II ტური
ირლანდია 0:1 ბელგია
V ჯგუფი
II ტური
ისლანდია 0:1 იტალია
VII ჯგუფი
II ტური
ლატვია 0:2 პორტუგალია
VIII ჯგუფი
II ტური
მოლდოვა 1:3 შვეიცარია
X ჯგუფი
II ტური
ჩრ. ირლანდია 2:3 გერმანია
XIV ჯგუფი
II ტური
შოტლანდია 1:3 საფრანგეთი

ინგლისი

I ლიგა
VI ტური
ჯილინგემი 0:2 სკანთორპი
სუონსი 1:1 იოვილი
როტერჰემი 1:2 ნორთჰემპტონი
II ლიგა
VI ტური
დარლინგტონი 1:1 ტორკი
ჩესტერი 0:2 სუინდონი
გრიმსბი 1:1 მაკლსფილდი
ჰარტლპული 2:1 ბოსტონი
ლინკოლნი 3:1 აკრინგტონი
უიკომბი 1:0 მენსფილდი
კონფერენსლიგა
VI ტური
კემბრიჯი 1:3 ექსეტერი
ფორესტ გრინი 2:3 უოკინგი
გრეისი 0:1 ბარტონი
კიდერმინსტერი 0:0 რაშდენი
ოძსფორდი 2:1 სტ. ალბანსი
იორკი 0:0 სტეფორდი

გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
VI ტური
ჰოფენჰაიმი 3:2 კარლსრუე (მ)
პირმასენსი 1:3 პფულენდორფი
კიკერსი 3:0 დარმშტადტი
ელვერსბერგი 0:1 აალენი
ზიგენი 0:0 ბაიერნი (მ)

ჰოლანდია

I დივიზიონი
III ტური
ემენი 0:3 გრაადსხაპი
ვოლენდამი 1:0 აპელდორნი
ზვოლე 1:2 როზენდალი
სიტარდი 0:4 დორდრეხტი
იგლსი 2:1 ალმერე
ჰერმონდი 3:3 დენ ბოსხი
მაასტრიხტი 0:0 ჰარლემი
ტელსტარი 1:1 ვეენდამი
ოსი 0:0 ეინდჰოვენი
ვენლო 3:2 კამბური

შოტლანდია

III დივიზიონი
V ტური
ისტ ფაიფი 5:0 ისტ სტირლინგი

ირლანდია

პრემიერლიგა
XXI ტური
ბოჰემიანსი 2:2 დროჰედა
ბრეი 2:3 შელბურნი
სტ. პატრიკსი 0:1 უოტერფორდი

ამხანაგური მატჩი

დანია 4:2 პორტუგალია

ამ კუპონის გარეშე
VEGA SLOT-ის
ბონუს-ჩეკი არ მიიღება

ველორბოლა

61-ე ვუელტა 26 აგვისტო-17 სექტემბერი

AFP

ალეხანდრო ვალვერდემ ველოჭარავანი უკან მოიტოვა

ოლე, ალეხანდრო!

ვაკეზე, უფრო სწორად კი ჩრდილოდასავლეთ კასტილიის ზეგანზე შედარებით მსუბუქი გასეირნების შემდეგ გუშინ „ვუელტას" მონაწილეთა წინაშე მორიგი მთა აღიმართა. დიახ, სწორედაც რომ მთა, რადგანაც ლეონიდან ალტო დელ ელ მორედერომდე გასავლელი გზის 154 კილომეტრიდან 135 კვლავაც, ძირითადად სწორ ტრასაზე გადიოდა, მაგრამ ბოლოსკენ ალტო დე ელ მორედეროს, სხვანაირად პონფეარადას რომ უწოდებენ, ზღვის დონიდან 1740 მეტრზე აღმართული მთა იყო და ამ ბოლო 20 კილომეტრში დონეთა სხვაობა 1200 მეტრზე მეტს შეადგენდა.

თანაც პონფეარადას აღმართი რაღაც ტერასისებურია — მკვეთრ, რამდენიმეკილომეტრიან აღმართებს მცირე სწორი მონაკვეთები და ერთი-ორი სიმბოლური დაღმართიც კი ცვლის და ამ გზაზე ტემპის რეგულირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

გუშინ ეს ყველაზე უკეთ ესპანური „ილეს ბალეარსის" წევრებმა შეძლეს და მთელი გუნდის სამუშაო ბოლოს ბრწყინვალედ დააგვირგვინა ალეხანდრო ვალვერდემ. თუმცა, ეს ბოლოს იყო, მანამდე კი სამკაციანი ჯგუფი კარგა გვარიანად მოწყდა პელეტონს, თუმცაღა ამ სამიდან პონფეარადას აღმართს მხოლოდ შვეიცარიელმა დავიდ ლუსლიმ გაუძლო, რომელიც თითქმის ბოლო კილომეტრებამდე ლიდერობდა, მაგრამ მდევართა მოწინავე და უაღრესად მძლავრმა ჯგუფმა ისიც ჩაყლაპა. ამ ჯგუფში ყაზახური „ასტანას" ლიდერები ალექსანდრ ვინოკუროვი და ანდრეი კაშეჩკინი აქტიურობდნენ. ვინოკუროვს ძალიან უნდოდა ეტაპის მოგება, ყველაფერი გააკეთა კიდეც საამისოდ და, თითქოს პირველიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო 200 მეტრზე გამოელია ილაჯი.

„ილეს ბალეარსმა" კი მართლაც დიდებულად იმუშავა. ხოაკინ როდრიგესმა, ვლადიმერ კარპეცმა და ხავიერ სანდიომ ლამის უკანასკნელ კილომეტრამდე ციმციმ ატარეს ვალვერდე და ალეხანდრომაც გამარჯვებით დააფასა თანაგუნდელთა გარჯა — მაშინ, როდესაც ყველას უკვე ვინოკუროვი ეგონა გამარჯვებული, კრეისერული სიჩქარე აკრიფა და პირველმა უწია ფინიშს.

ვალვერდეს გარდა ვინოკუროვს კარლოს სასტრემ, ხოსე ანხელ გომეს მარჩანტემ, ჯანეზ ბრაიკოვიჩმა და მანუელ ბელტრანმაც გაასწრეს. შედეგად, ლიდერის ოქროსფერი მაისურა, სწორედ ბრაიკოვიჩს ერგო, თუმცაღა ვალვერდე და სასტრე სლოვენიელს წამებითღა ჩამორჩებიან და ამ ერთხელაც გავიმეორებთ — წლევანდელი „ვუელტას" გამარჯვებულის ვინაობა, სწორედ ორი ესპანელის — ვალვერდესა და სასტრეს დუელში გაირკვევა.

რაც შეეხება ძველ ლიდერს, იტალიელ დანილო დუ ლუკას, მან ბოლომდე გმირულად იბრძოლა, მაგრამ თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს, უელად დატოვეს და შედეგად, დი ლუკამ ვალვერდესთან თითქმის ორი წუთი წაგო.

გია მუჯირი

მე-7 ეტაპი. 1 სექტემბერი
ლეონი-ალტო დე ელ მორედერო. 154,2 კმ.

1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	4 სთ. 01 წთ. 05 წმ
2. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+4 წმ
3. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი)	+6 წმ
4. ჯანეზ ბრაიკოვიჩი (სლოვენია, დისქოვერი)	+7 წმ
5. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, დისქოვერი)	+7 წმ

საერთო ჩათვლა

1. ჯანეზ ბრაიკოვიჩი (სლოვენია, დისქოვარი)	26 სთ. 48 წთ. 27 წმ
2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+5 წმ
3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+10 წმ
4. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი)	+22 წმ
5. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა)	+23 წმ

ჩოგბურთი

მოკითხვა ბაქოდან

სოფო შაფათავა: ვერ ჩამოვალ, ნახევარფინალში ვარ



სოფო შაფათავა

ფოტო: ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე ქალთა 10-ათასიან ტურნირზე ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ და ოთხ საუკეთესოს შორის ერთი ჩვენებურიც არის — სოფო შაფათავა.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის ძირითად ბადეში ერთბაშად შვიდი ქართველი იყო, რომელთაგან ოთხმა პირველივე წრეში წააგო. მეორე წრეში კიდევ ორი ჩვენებური დამარცხდა — თეონა ცერცვაძეს ორსეტიან, მაგრამ დაძაბულ ბრძოლაში 7:5 7:6 მოუგო მესამე ნომრად განთესილმა უკრაინელმა კატერინა პოლუნინამ, ხოლო სალომე ალადაშვილს შანსი არ ჰქონია მასპინძელთა ჯილასთან, მე-7 ნომრად განთესილ ელინა ჰასანოვასთან შეხვედრაში — 1:6 2:6.

აი, შაფათავამ კი მეორე წრეში ბელარუს ვოლჰა დუკოს 6:1 6:1 გადაუარა და მერე, უკვე მეოთხედფინალში, ასევე იოლად 6:3 6:2 დაჯაბნა მეორე ნომრად განთესილი რუსი ეკატერინა დრანეცი, ვინც WTA-ს რეიტინგის 670-ე ნომერი გახლავთ.

ნახევარფინალში შაფათავას მეტოქე ტურნირზე ვილდ ქარდით მოხვედრილი 15 წლის აბსოლუტურად უცნობი იტალიელი კამილა ჯორჯი იქნება, ხოლო მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ალადაშვილის მძლეველი ჰასანოვა და მე-5 ნომრად განთესილი რუსი იულია სოლონიცკაია შეხვდებიან.

მძლეოსნობა

ლისენკოს გერმანული დეკეული ამდევნა



ბლანკა ვლასიჩი

სორვატიის დედაქალაქ ზაგრებში იააფის სუპერგრან-პრის სერიის მორიგი ტურნირი გაიმართა და რამდენიმე საყურადღებო შედეგიც იქნა ნაჩვენები.

ზოგადად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამძლეოსნო სეზონი ფინიშს მიუახლოვდა, თუმცაღა, სწორედ ამ ფინიშისთვის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი შეჯიბრია გასამართი — „ოქროს ლიგის" ეტაპი, სუპერგრან-პრის სერიის ფინალი და მსოფლიოს თასი, რომელშიც კონტინენტების ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას.

ზაგრებში კი ყველაზე საინტერესო ამბები ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომასა და უროს ტყორცნაში მოხდა. ამ ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სახეობის ქალოსტატები მთელი ზაფხული ყურადღების ცენტრში იყვნენ და გულშემატკივართა იმედებს, არც სეზონის მიწურულს აწბილებენ.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინ სიმაღლეზე მხტომელ გრძელკანჭა ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა შვედ კაისა ბერგკვისტს და ლაპარაკი იმაზეღა იყო, ეს ქერა ლამაზმანი შეძლებს თუ ვერა, ბულგარელი სტეფკა კოსტადინოვას, ლამის ოცწლიანი მსოფლიო რეკორდის (209 სმ) გაუმჯობესებასო.

ვერ შეძლო და ეგ კი არა, კაისას ყველაზე ცუდ დროს, მშობლიურ გიოტებორგში გამართული ევროპირველობისას დაეწყო კრიზისი. იქ ბერგკვისტი ბრინჯაოს დასჯერდა და აწოწილ, სათვალიან ბელგიელ ტია ელებოსა და ბულგარელ ვენელივა ვენევასთან დამარცხდა.

მას შემდეგ კაისა ეგრეც ვეღარ გაიმართა წელში და აგერ ზაგრებშიც, იქაური პუბლიკის გასახარად, ვერას გახდა 22 წლის ხორვატ შხვართგოგო ბლანკა ვლასიჩთან დუელში. ვლასიჩი თავისი გრძელი ფეხებით 201 სმ. სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო და ბერგკვისტის გარდა, ევროპის ვიცეჩემპიონი ვენევაც უკან მოიტოვა.

ახლა უროს მტყორცნელებზე ვთქვათ და ისიც გავიხსენოთ, რომ ორიოდ დღით ადრე, სეზონის უპირობო ლიდერი, მსოფლიოს რეკორდსმენი და ევროპის ჩემპიონი რუსი ტატიანა ლისენკო სლოვაკურ დუბნიცაში მოულოდნელად დაამარცხა პოლონელმა კამილა სკოლიმოვსკამ.

ლისენკო და სკოლიმოვსკა ზაგრების სატყორცნ სექტორშიც ერთად შეიყარნენ და რუსი, კინაღამ ამჯერადაც დამარცხდა, თუმცაღა, არა სკოლიმოვსკასგან. ამ ჯერზე საქმეში ჯანიანი გერმანელი ბეტი ჰაიდლერი ჩაერია, ბოლოსწინა ცდაზე 76,11 მეტრზე გატყორცნა ურო და ლიდერობა იგდო ხელთ, მაგრამ მერე მაინც ლისენკომ ივარგა და გერმანელის შედეგი 43 სანტიმეტრით გააუმჯობესა. ისე, ეს ჰაიდლერი კარგა დეკეულა გოგო ჩანს და ცოტა ხანში გამოცდილებასა და ასაკობრივ ჯანს რომ დაიმატებს, ლისენკოს მშვიდი ძილის საშუალება მოესპობა.

სხვა შედეგებიდან დამსახურებული და მედალოსანი ვეტერანის, ამერიკელი ალენ ჯონსონის გამარჯვება უნდა გამოვყოთ კაცთა 110 მეტრზე თარჯრბენში. 36 წლის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ჩვეული თარჯებიანი გზა 13,19 წამში დაფარა.

აი, უთარჯებო კლასიკურ 100 მეტრიან სპრინტში კი ევროპის ორგზის ჩემპიონი პორტუგალიელი ფრანსის ობიკველუ ამერიკელმა ჯეისონ სმუტსმა დაამარცხა. ჰირქარის გამო გარბენი სწრაფი არ იყო და სმუტმა (10,22 წმ) სულ მცირედით, რაღაც წამის მეასედით აჯობა ობიკველუს.

წააგო ქალთა სპრინტის ევროპელმა დედოფალმაც — ბელგიელმა კიმ გევარტმა, ობიკველუსი არ იყოს, გიოტებორგში ორი ოქრო მოიგო, მაგრამ ზაგრებში 100 მეტრი ოდენ 11,31 წამში გაირბინა და 0,05 წამით ჩამორჩა ბაჰამელ დები ფერგიუსონს.

გია მუჯირი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00